დანართი # 1.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, განათლების საფეხური

კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევების სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 28.01.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

13.04.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 23

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 31

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 36

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 48

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დოქტორი ჯონათან ლუზი, ლონდონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ნიჟარაძე - შპს თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე - შპს შავი ზღვის საერთაშრისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ კეკოშვილი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU), თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო სანადირაძე - თბილისის მუზეუმების გაერთიანება, თბილისი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	CulturalPersonology,Psychological Anthropology and Migration Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არა-აკრედიტებული) პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ- ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

თსუ-ს სადოქტორო პროგრამა კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები არის აკრედიტაციისთვის წარდგენილი ახალი პროგრამა. ეს არის მესამე საფეხურის, კვლევის დონის პროგრამა (საფეხური 8), ორმოცდაათკრედიტიანი სასწავლო კომპონენტით და პროგრამის შესაბამისად, კვლევითი ნაშრომის კომპონენტით, რომელიც არ ფასდება კრედიტით. გადახედვის შემდეგ დამტკიცდა თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები (აკადემიური საბჭოს დადგენილება No. 245/2018) და მოხდა სადისერტაციო საბჭოს გადატანა ფაკულტეტიდან უნივერსიტეტის დონეზე; სწორედ ეს ცვლილებებია ასახული მის დიზაინში. გარეგნულად, პროგრამა ჩამოყალიბდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, კურსდამთავრებულთა დასაქმების უნარის დასადგენად (2022 წლის მარტი, 2017-2021 სასწავლო წლის შესაბამისი პროგრამების 17 დასაქმებული კურსდამთავრებულის გამოკითხვა). პროგრამა ასევე განპირობებულია მიგრაციის საკითხის მნიშვნელობითა და თანამედროვე აქტუალობით; კურსდამთავრებულები სათანადოდ უნდა აღიჭურვონ იმისთვის, რომ გაიგონ და რეაგირება მოახდინონ ფსიქოლოგიურ და სხვა სოციალურ შედეგებზე.

პროგრამა ეფუძნება არსებულ გამოცდილებას ფაკულტეტის ფარგლებში, გარდა ამისა, აფართოებს ამ გამოცდილების დიაპაზონს ახალი, ინტერდისციპლინური შედეგის მისაღებად.

- **აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2023 წლის 26 და 27 იანვარს. ვიზიტი განხორციელდა ონლაინ Zoom- ის პლატფორმის საშუალებით. შეხვედრები გაიმართა პანელსა და რამდენიმე ჯგუფს შორის. ესენი იყვნენ: თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, დოქტორანტების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და სხვა სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იმავე ვიზიტის დროს, პანელმა ასევე შეაფასა ფაკულტეტის სხვა პროგრამა და სადაც ერთი და იგივე საკითხები და პერსონალი შესაბამისი იყო ორივე პროგრამისთვის, შეხვედრები გაერთიანდა. ადგილზე ვიზიტი ჩატარდა ინგლისურ ენაზე და საჭიროების შემთხვევაში თარგმანი უზრუნველყოფილი იყო. შეხვედრებზე კომუნიკაცია ეფექტური იყო, და მიმდინარეობდა მკაფიო განრიგის მიხედვით. უნივერსიტეტის პერსონალმა უპასუხა კითხვებს, და პანელი ზოგადად კმაყოფილი დარჩა, თუმცა სასურველი იქნებოდა მეტი მოესმინა თითოეულ შეხვედრაში ჩართული პერსონალის უფრო ფართო ჯგუფისგან და არა მხოლოდ მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების მცირე რაოდენობისგან. საერთო ჯამში, პანელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტი ამბიციურია განავითაროს თავისი კვლევითი საქმიანობა და აქვს ამის შესაძლებლობა, თუმცა რესურსებით შეზღუდულ გარემოში. ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა აკადემიური პერსონალის მისაბაძი ენთუზიაზმი დისციპლინის, კვლევისა და სტუდენტების მიმართ, და ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მისაბაძი ენთუზიაზმი სწავლების მიმართ, რომელსაც ისინი

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

იღებდნენ/მიიღეს. შესაბამისად, პანელის მიერ დეტალური შეფასება განხორციელდა გარემოში, სადაც ჩანს სასურველი ამბიცია და განვითარება კვლევაში. ვიზიტმა წარმოადგინა პირველადი მტკიცებულება იმისა, რომ, ზოგადად, პროგრამა შემუშავებული იყო სისტემატურად და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
    - სტანდარდტი 1: შესაბამისობაშია
    - სტანდარტი 2: შესაბამისობაშია
    - სტანდარტი 3: შესაბამისობაშია
    - სტანდარტი 4: შესაბამისობაშია
    - სტანდარტი 5: შესაბამისობაშია

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 2.4

- სასწავლო კურსის „შერჩეული თემები ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში: კომუნიკაცია, კულტურა და მნიშვნელობის პრობლემა“ სილაბუსის სიზუსტის უზრუნველსაყოფად და, ზოგადად, სილაბუსის სიზუსტისა და სიცხადის უზრუნველსაყოფად, მოხდეს ინფორმაციის მონიტორინგი.

კომპონენტი 3.2

- ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის ხელშემწყობი ასპექტები, რომელიც ხელს შუწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

კომპონენტი 1.1

- პროგრამის მიზნებმა ნათლად მოიცვას ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო დაფინანსების მზარდ დონეს, რათა სტუდენტები, რომლებიც ისარგებლებენ პროგრამით, დაფინანსდნენ მთელი სწავლის განმავლობაში.
- პროგრამის მიზნების ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპეტენციის მუდმივი განვითარების მნიშვნელობა; იდიალურ შემთხვევაში – ინგლისურში, რომელიც არის დისციპლინის ლინგვა ფრანკა. ეს ეხება ყველა სტუდენტს და პერსონალს, ინტერნაციონალიზებულ დისციპლინაში მათი სრული ჩართულობის მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს პროგრამის განმავლობაში მუდმივ

განვითარებას, რომელიც სცდება საბაზისო მისაღებ მოთხოვნებს (B2), უფრო მაღალი დონის მისაღწევად, რაც საშუალებას იძლევა იმუშაონ უფრო დახვეწილ და რთულ ტექნიკურ მასალასთან, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ მგრძნობელობას ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიმართ (მაგ. C1). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ინტერდისციპლინურ სფეროში, რომელსაც გააჩნია ძლიერი ხარისხობრივი და თეორიული ასპექტი, რთული თეორიული დისკუსიით, რომელიც მოიცავს დახვეწილ არგუმენტაციას და ინოვაციურ იდეებს.

- გარკვეულად შემუშავდეს მიზნები, რათა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც პროგრამამ უნდა განავითაროს თავის კურსდამთავრებულებში. ეს მოიცავს კვლევის მეთოდების ტიპების სწავლებას, რომლებსაც პროგრამა უზრუნველყოფს და ბალანსს ემპირიულ და თეორიულ სამუშაოებს შორის. რაც მთავარია, ამ სფეროში უნივერსიტეტს კონტექსტს მიღმა პროფესიონალად მუშაობისთვის, უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ნაჩვენები პროგრამით გათვალისწინებული უნარები და კომპეტენციები. მაგალითად, პანელმა მოისმინა ამ სფეროში გადამზადებული ადამიანების მნიშვნელობაზე, რომლებიც ჩართულნი არიან მიგრაციის საკითხების გარშემო პოლიტიკის შემუშავებაში. სასარგებლო იქნება პროგრამის კომპეტენციების უფრო მკაფიოდ დაკავშირება მომავალი როლებისთვის საჭირო უნარებთან.

კომპონენტი 1.2

- იმ კავშირების რაოდენობისა და დიაპაზონის განვითარება, რომელიც პროგრამის გუნდს აქვს პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტის სფეროს მიღმა. კერძოდ, იმის უზრუნველყოფა, რომ პროგრამის მომავალი მიმოხილვისას არსებობდეს შესაბამისი დამსაქმებლების ფართო სპექტრი, რომლების მკაფიოდ განსაზღვრავენ მათთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.
- უზრუნველყოფილი იყოს პროგრამაში იმ უნარ-ჩვევებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ჩართვა, რომლებიც საჭიროა უნივერსიტეტის გარეთ, პროფესიულ კონტექსტში კვლევის უნარებისა და საგნობრივი ცოდნის წარმატებით გამოყენებისთვის.

კომპონენტი 1.4

- უსდ-მ განიხილოს დისერტაციის წარდგენამდე ორი პუბლიკაციის საერთაშორისო ინდექსირებულ ან მაღალი გავლენის მქონდე ჟურნალში გამოქვეყნების მოთხოვნის გაუქმება. ეს მოთხოვნა უნდა შეიცვალოს დისერტაციის უფრო დეტალური შეფასების კრიტერიუმებით, რათა დასკვნები იმის შესახებ დააკმაყოფილა თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგები, გამოიტანოს თსუ-ს კომისიამ და არა ჟურნალის რედაქტორებმა და კონფერენციის ორგანიზატორებმა.

კომპონენტი 2.2

- ყველა სტუდენტი წახალისდეს, რათა ისინი ჩაერთონ კვლევით პროექტებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მკვლევარები, რომლებიც ამჟამად თავად არიან ქტიურად ჩართული კვლევით საქმიანობაში.

კომპონენტი 4.1

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს ფაკულტეტს, გააგრძელოს საერთაშორისო, ისევე როგორც

ეროვნულ საკითხებზე ფოკუსირებული კადრების დანიშვნა, და შეინარჩუნოს პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც სწავლება არ გაუვლიათ თსუ-ში. საქმიანობის ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია ფაკულტეტის საერთო წვლილისთვის. ფაკულტეტმა უნდა მართოს თავისი პერსონალის დანიშვნის პროცესი, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერების დანიშვნის რეგულარული შესაძლებლობები.

- დოქტორანტების ხელმძღვანელობის ამჟამინდელი შესაძლებლობების შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია პერსონალის მუდმივი ტრენინგისა და ცოდნის გამდიდრების, ასევე აკადემიურ პერსონალს შორის კვლევის გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა. ეს მოიცავს ტრენინგს საგრანტო განაცხადების წარმოების მიმართულებით.

კომპონენტი 4.2

- ორმხრივი სარგებელისა და პოტენციური თანამშრომლობის მიზნით გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან ფსიქოლოგიას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.**

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1.პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. ასევე ასახავს რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამის მიზნები ნათლად არის მითითებული თვითშეფასების დოკუმენტსა და პროგრამის აღწერაში. ისინი აშკარად გამომდინარეობენ უნივერსიტეტის მისიიდან, ღირებულებებიდან, ხედვიდან და, დოქტორანტურის საფეხურზე კვლევის ხარისხის აღწერით, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (2018 - 2024 წწ.), სადაც აქცენტი კვლევის განვითარებაზეა გაკეთებული.

პროგრამის პირველი მიზანია „მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ჩამოყალიბება, რომლებსაც შეუძლიათ გამოიმუშავონ ახალი სამეცნიერო ცოდნა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კულტურული პერსონოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სფეროებში; შეიმუშავონ აქტუალური თეორიული საკითხები, მათ შორის უმაღლესი ფსიქიკური პროცესების კულტურული საფუძვლებისადმი არსებული თეორიული მიდგომების ინოვაციური განვითარება“.

პერსონოლოგიაში ამ პროგრამის განვითარებას აქვს ძლიერი დასაბუთება და ის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის თვალსაზრისით. ეს პროგრამა განიხილავს სხვადასხვა თემებს, მაგრამ მთავარი საკითხია მიგრაციისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის საკითხი, რაც აქტუალური და მნიშვნელოვანია დღევანდელ საქართველოში არსებული ვითარებისთვის. პანელმა შეიტყო, რომ ქვეყანას სჭირდება ისეთი პროფესიონალების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ პოლიტიკაზე, გააუმჯობესონ კულტურათაშორისი წვლილი და მულტიკულტურული გარემო. პროგრამა ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ მის აქცენტს გამოყენებით დისციპლინებზე და საზოგადოების განვითარებაზე და მის მიზანზე იყოს „თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრი“. მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენება, რომელიც აკავშირებს არსებულ გამოცდილებას ფსიქოლოგიაში და ახალ გამოცდილებას

ანთროპოლოგიაში, ხელს შეუწყობს ამას პერსონალოლოგიის პროგრამის მეშვეობით. პანელმა შეაფასა, რომ ეს არის ღირებული პროგრამა უნივერსიტეტისთვის და ფართო საზოგადოებისთვის და მოუწოდებს უნივერსიტეტს მისი განვითარებისკენ. ამ პროგრამის სწავლება კვლევის დონეზე მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ იმ უნარ-ჩვევებს, რაც საჭიროა ცვალებად კონტექსტში ამ საკითხებზე მუშაობისთვის. ამ სფეროში ახალი ცოდნისა და თეორიული მიდგომების მუდმივი საჭიროება იქნება. მიზანი მომდინარეობს თსუ-ს მისიიდან, შექმნას, შეინახოს და გაავრცელოს ახალი ცოდნა. გამოყენებით კვლევებზე ზოგადი ფოკუსირება ასევე შეესაბამება თსუ-ს ხედვას ამ სფეროში, „მზარდი აქცენტის" განხორციელების შესახებ. პანელი დაეთანხმა აკვინასის კოლეჯის ფსიქოლოგიისა და საკონსულტაციო განათლების დეპარტამენტის რეკომენდაციას, რომ პროგრამა უნდა განხორციელდეს და რომ მის ხელმძღვანელს აქვს საჭირო უნარები და კვალიფიკაცია მისი წარმატებით წარმართვისთვის.

მეორე მიზანი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი არის „მაღალკვალიფიციურ მკვლევართა მომზადება, რომლებსაც მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობით, შეუძლიათ გამოიყენონ/შექმნან სინთეზური კვლევის სტრატეგიები/ მეთოდები, განავითარონ ახალი სამეცნიერო იდეები და პრაქტიკული ინოვაციები, გამოიტანონ სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დასკვნები ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით".

ეს მიზანი ასევე გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, რომელიც მოიცავს კვლევის ტრადიციის განვითარებას. ის ასევე ხელს უწყობს თსუ-ს, როგორც სადოქტორო პროგრამების ერთ-ერთი უმსხვილესი პროვაიდერის სტატუსს ქვეყანაში. მიზანი აკონკრეტებს ზოგიერთ კომპეტენციას, რომელიც პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ. ეს მნიშვნელოვანი კომპეტენციებია, ვინაიდან ამ დისციპლინებს აქვთ შინაგანი და მუდმივი კავშირი კვლევასთან. ასეთი დისციპლინების მიერ გამომუშავებული დასკვნები იშვიათად თუ სრულად დეკონტექსტუალიზებულია და, შესაბამისად, პროფესიონალ ანთროპოლოგებსა და ფსიქოლოგებს სჭირდებათ მუდმივი კვლევის შენარჩუნება, რათა ისარგებლონ თითოეული განსხვავებული კონტექსტით, რომელშიც გამოიყენება დისციპლინა. პროგრამის მიზანიც სწორედ ამას შეესაბამება.

ეს მეორე მიზანი ასევე გამოხატავს ერთგულებას ეთიკური პრინციპებისადმი, რაც ასახავს თსუ-ს ღირებულებების განცხადებებს. უნივერსიტეტის ხედვა ასევე ორიენტირებულია იმაზე, რომ განათლება შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ამიტომ ამ პროგრამას აქვს მიზანი განავითაროს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები.

მეორე მიზნის მეორე ნაწილია „პროფესიონალთა მომზადება მიგრაციის პროცესების სიღრმისეული კვლევისთვის, რომლებიც შეძლებენ მიგრანტების ადაპტაციური პროცესების თეორიულად მოდელირებას და მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას". ეს არის ძალიან კონკრეტული მიზანი, რომელიც ზუსტად ასახავს პროგრამის ძირითად აქცენტს. სწორედ აქ ვხედავთ ამ პროგრამის უშუალო აქცენტს და გამოყენებას.

მესამე მიზანია „გადაამზადოს ინტერდისციპლინურად მოაზროვნე პედაგოგიური პერსონალი იმ კომპეტენციებით, რომელიც შეესაბამება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პოზიციების მოთხოვნებს, კონკურენტუნარიანია დასაქმების ბაზარზე, რომლის საქმიანობა ხელს შეუწყობს საქართველოში ინტერდისციპლინური სამეცნიერო აზროვნების განვითარებას". ეს მიზანიც მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ის არ ასახავს კონკრეტულ წვლილს, რომელსაც პროგრამა განახორციელებს სფეროსა და

საზოგადოების განვითარებაში, ცხადია, რომ ამ ტიპის წვლილი გამიზნულია.

ინტერდისციპლინურად მოაზროვნე პერსონალის გადამზადება მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ არიან ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ სხვადასხვა დისციპლინებში რთული პრობლემების გადაწყვეტაზე. ზოგადად, სტუდენტებისთვის ღირებულია სწავლება ინტერდისციპლინურ გარემოში, სადაც ისინი თავიდან აიცილებენ დისციპლინების მიმართ „სოლო“ მენტალიტეტს, ამიტომ კარგია ისეთი პროგრამები, რომლებსაც მიზანმიმართულად ექნებათ ინტერდისციპლინური აქცენტი, ასევე მოამზადებენ მასწავლებლებს, რომლებიც ამ აქცენტს თავიანთ პრაქტიკაში შეინარჩუნებენ. აღსანიშნავია, რომ ეს მიზანი მიმართულია იმაზე, რომ წვლილი შეიტანოს საქართველოში სამეცნიერო აზროვნებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს კარგია, არავითარი დამატებითი მითითება არ ხდება ინტერნაციონალიზებულ პერსპექტივაზე. როგორც გამოვლინდა არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჩართულობა იმ თანამშრომლებს შორის, რომლებიც წვლილს შეიტანენ ამ პროგრამაში და ამიტომ კარგი იქნება, თუ პროგრამის საერთაშორისო განზომილებაც პირდაპირ იქნება აღნიშნული პროგრამის მიზნებში.

მნიშვნელოვანია საქართველოში ინტერდისციპლინური სამეცნიერო აზროვნების განვითარების მიზანი. პანელმა აღნიშნა დაძაბულობა ამ პროგრამის ფარგლებში, ქართულ ენაზე სწავლებასა და საქართველოში ამ სფეროს განვითარებას შორის, რადგან ეს არის ინტერნაციონალიზებული სფერო. მნიშვნელოვანია დისციპლინაში გამორჩეული ქართული წვლილის მუდმივი განვითარება. ამავდროულად, პანელმა გაიგო, რომ თსუ-ს სურს სადოქტორო პროგრამები სრულად საერთაშორისო გახდეს. ეროვნულ და საერთაშორისო ჰორიზონტებს შორის ამ დაძაბულობის მართვა მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ამ დაძაბულობის გამოხატვის ერთ-ერთი ძალიან პრაქტიკული გზა არის ქართულენოვანი აკადემიკოსებისა და სტუდენტების მიერ ევროპული ენების, როგორიცაა ინგლისური, ფრანგული და გერმანული, გამოყენების აუცილებელი სტანდარტები. მიზნები შეიძლება გაიზარდოს ენობრივი კომპეტენციის ძალიან მაღალი დონის განვითარების მნიშვნელობის გამოხატვით ამა თუ იმ ენებზე, რომლებიც ხშირად ინტერნაციონალიზებული დისციპლინების ენაა.

პანელმა ასევე აღნიშნა ის გამოწვევები, რომლებიც ექნებათ სტუდენტებს ამ პროგრამაზე სწავლის დასაფინანსებლად. ეს არის პრობლემა საქართველოში არსებული ყველა სადოქტორო პროგრამისთვის. პანელმა მიიჩნია, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია და უშუალოდ არის გასათვალისწინებელი პროგრამის მიზნებში. პროგრამის მიზნები შეიძლება მოიცავდეს სერიოზულ განზრახვას გაზარდოს დაფინანსების დონე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტების მხარდასაჭერად, სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

პანელმა ასევე აღნიშნა, სტუდენტების შესანიშნავი ძალისხმევა, ისწავლონ დოქტორანტურაში სრულ განაკვეთზე მუშაობის დროს. უნივერსიტეტი არ არეგულირებს დროის რა ოდენობას უთმობს სტუდენტი უნივერსიტეტის გარეთ ანაზღაურებად სამუშაოს სწავლის პერიოდში, მაგრამ ეს აუცილებლად შეუქმნის პოტენციურად სერიოზულ რისკს ხარისხს. აკადემიური ხარისხი (ამ კონტექსტში) გულისხმობს, რომ პროგრამას შეუძლია მოამზადოს სტუდენტები იმისთვის, რომ წარმატებით მიაღწიონ იმ აკადემიურ სტანდარტებს, რომელიც საჭიროა მინიჭებისთვის. თუ პროგრამის რეგულაციებით დასაშვებია, რომ სტუდენტები გადაიტვირთონ და ისწავლონ ძალიან ნელი ტემპით, ეს საფრთხეს უქმნის „ხარისხს“ პირდაპირი გაგებით. ამ გზით დაფინანსების ნაკლებობა პირდაპირ აისახება პროგრამის ხარისხზე. ზოგადად, პანელი მტკიცედ დაუჭერს მხარს

უნივერსიტეტის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომ იმუშაოს თავისი სტუდენტებისთვის დაფინანსების დონის გაზრდაზე, ამავე დროს არეგულიროს დროის რაოდენობა, რომელიც სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვა სამსახურისთვის.

ზოგადად, პანელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროგრამის მიზნები ფორმულირებულია ზოგად დონეზე, თუ გავითვალისწინებთ პროგრამის ფარგლებს, რომელიც ფარავს დოქტორანტურას. თუმცა, მიზნები შეიძლება გაიზარდოს კვლევის, ცოდნისა და უნარების იმ ტიპების მოკლე დაკონკრეტების დამატებით, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს ამ მიზნების მისაღწევად. ეს უფრო ნათლად განსაზღვრავს პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. კვლევის მეთოდების სწავლების ტიპები, რომლებსაც პროგრამა გვაწვდის და ბალანსი ემპირიულ და თეორიულ მუშაობას შორის, შეიძლება დაკონკრეტდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ უფრო მკაფიოდ იყოს მითითებული პროგრამით გათვალისწინებული უნარები და კომპეტენციები, რაც ამ სფეროში პროფესიონალად მუშაობის შესაძლებლობას მოგვცემს უნივერსიტეტის კონტექსტს მიღმა. მაგალითად, პანელმა მოისმინა ამ სფეროში გადამზადებული ადამიანების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც ჩართულნი არიან მიგრაციის საკითხების გარშემო პოლიტიკის შემუშავებაში. სასარგებლო იქნება პროგრამის კომპეტენციების უფრო მკაფიოდ დაკავშირება მომავალი როლებისთვის საჭირო უნარებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- თვითშეფასების დოკუმენტი და მასში მითითებული დოკუმენტები.
- "თსუ-ს შესახებ" https://www.tsu.ge/en/page/About-University.
- შეხვედრები, მათ შორის, კერძოდ, შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის მიზნებმა ნათლად მოიცვას ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო დაფინანსების მზარდ დონეს, რათა სტუდენტები, რომლებიც ისარგებლებენ პროგრამით, დაფინანსდნენ მთელი სწავლის განმავლობაში.
- პროგრამის მიზნების ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპეტენციის მუდმივი განვითარების მნიშვნელობა; იდიალურ შემთხვევაში – ინგლისურში, რომელიც არის დისციპლინის ლინგვა ფრანკა. ეს ეხება ყველა სტუდენტს და პერსონალს, ინტერნაციონალიზებულ დისციპლინაში მათი სრული ჩართულობის მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს პროგრამის განმავლობაში მუდმივ განვითარებას, რომელიც სცდება საბაზისო მისაღებ მოთხოვნებს (B2), უფრო მაღალი დონის მისაღწევად, რაც საშუალებას იძლევა იმუშაონ უფრო დახვეწილ და რთულ ტექნიკურ მასალასთან, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ მგრძნობელობას ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიმართ (მაგ. C1). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ამ ინტერდისციპლინურ სფეროში, რომელსაც გააჩნია ძლიერი ხარისხობრივი და თეორიული ასპექტი, რთული თეორიული დისკუსიით, რომელიც მოიცავს დახვეწილ არგუმენტაციას და ინოვაციურ იდეებს.

- გარკვეულად შემუშავდეს მიზნები, რათა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც პროგრამამ უნდა განავითაროს თავის კურსდამთავრებულებში. ეს მოიცავს კვლევის მეთოდების ტიპების სწავლებას, რომლებსაც პროგრამა უზრუნველყოფს და ბალანსს ემპირიულ და თეორიულ სამუშაოებს შორის. რაც მთავარია, ამ სფეროში უნივერსიტეტს კონტექსტს მიღმა პროფესიონალად მუშაობისთვის, უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ნაჩვენები პროგრამით გათვალისწინებული უნარები და კომპეტენციები. მაგალითად, პანელმა მოისმინა ამ სფეროში გადამზადებული ადამიანების მნიშვნელობაზე, რომლებიც ჩართულნი არიან მიგრაციის საკითხების გარშემო პოლიტიკის შემუშავებაში. სასარგებლო იქნება პროგრამის კომპეტენციების უფრო მკაფიოდ დაკავშირება მომავალი როლებისთვის საჭირო უნარებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული
პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პანელს მიეწოდა პროგრამის მკაფიო მიზნები, რომელიც ასახულია სწავლის შედეგებში (თვითშეფასების ანგარიში, დანართი 5 – რუკები). მიზნები და სწავლის შედეგები ეფექტურია. პანელმა მოისმინა და წაიკითხა, რომ სწავლის შედეგების განვითარებაში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი, თუმცა პანელის აზრით პროგრამის გუნდს გაუჭირდა დამსაქმებელთა სრულად წარმომადგენლობითი სპექტრის ჩართვა უნივერსიტეტის სექტორის მიღმა. ეს აისახება შედეგებზე, რაც შეიძლება მიუთითებდეს დამსაქმებლების უფრო მეტ ჩართულობაზე უნივერსიტეტის სისტემის

მიღმა. ეს იმიტომ ხდება, რომ ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათთვის, ვინც დაინტერესებულია სწავლების კონტექსტებით. შესაბამისად, შედეგები შეიძლება უკეთესად შეესაბამებოდეს იმ კომპეტენციებსა და სხვა მოთხოვნებს, რომლებსაც მოითხოვენ დამსაქმებლები საუნივერსიტეტო სექტორის მიღმა.

თავად სწავლის შედეგები კმაფიოდ უკავშირდება დარგის მოთხოვნებს. თანამედროვეობაზე შემოქმედებითი მიდგომებით განპირობებული სხვადასხვა კომპონენტის დისციპლინების (PLO 1 (აქვე, PLO აღნიშნავს „პროგრამის სწავლის შედეგს“) კომბინაცია, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების ინტეგრაციასა და ანალიზზე (PLO 2, PLO 3) ფოკუსირებით, ხაზს უსვამს რომ პროგრამა ორიენტირებული იქნება, თანამედროვე დისციპლინიდან გამომდინარე, ეფექტურ მულტიდისციპლინურ მიდგომაზე. ფრაზა „პრობლემურად განიხილოს“ (PLO 1) გაურკვეველია. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არასწორი თარგმანით, მაგრამ ტერმინი „კრიტიკულად განიხილოს“ უფრო გასაგები და შესაბამისი იქნებოდა მოცემული საფეხურისთვის.

თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების დანერგვით, სწავლის შედეგები უფრო მეტად ფოკუსირებულია ახალი ინტერდისციპლინური ცოდნის გამომუშავებაზე (PLO 5), პედაგოგიკაზე (PLO 6) და საერთაშორისო ჩართულობაზე (PLO 7). აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაცია არ არის ნახსენები და პანელი ამის გამოსწორებას ურჩევს. (იხ. ზემოთ.) საერთო ჯამში, მიზანი უნდა იყოს ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის შექმნა ეროვნულ და საერთაშორისო პერსპექტივებს შორის.

სწავლის შედეგების ბოლო ნაწილი ხაზს უსვამს პროფესიულ განვითარებას და მხარდაჭერას (PLO 8), ეთიკურ ქცევას, (PLO 9) და თანამშრომლობას (PLO 10). ეს არის მნიშვნელოვანი სფეროები კურსდამთავრებულთა ჩამოყალიბებისთვის, რომლებიც შეინარჩუნებენ შესაბამის პროფესიულ ღირებულებებს და განაგრძობენ მუდმივ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგები პირდაპირ არ მიუთითებს იმ უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა კვლევის უნარებისა და დარგობრივი ცოდნის წარმატებით გამოყენებისთვის უნივერსიტეტის გარეთ, პროფესიულ კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი სწავლებასა და პედაგოგიურ უნარებზე მისასალმებელია განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე პროგრამის არსებობის გათვალისწინებით, პანელმა გამოავლინა, რომ პროგრამის მიზანი არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პრაქტიკულიცაა, ვინაიდან კურსდამთავრებულების მიერ შეძენილი კვლევის უნარები და დარგობრივი ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნას დასაქმების კონტექსტში, უნივერსიტეტის გარეთ, რათა უფრო ფართო წვლილი შეიტანონ ქართულ საზოგადოებაში. ვინაიდან პროგრამის მიზანს არ წარმოადგენს, რომ ყველა კურსდამთავრებული გახდეს უნივერსიტეტის პედაგოგი, ეს აუცილებლად უნდა აისახოს სწავლის შედეგებში, რათა პროგრამის გუნდმა საკმარისად მჭიდრო კავშირები შეინარჩუნოს ფართო საზოგადოებასთან და შექმნას შესაძლებლობები სტუდენტებისთვის.

აქცენტი საერთაშორისო და ეროვნულ დისკუსიებზე/ ფორუმებზე, კონფერენციებზე და საზოგადოების ჩართულობაზე (PLO 7) მნიშვნელოვანია და გამომდინარეობს მიზნებიდან. მნიშვნელოვანია ეროვნული პერსპექტივა. ქართულ ინტელექტუალურ და სოციალურ კონტექსტთან მიზანმიმართული ჩართულობა საშუალებას იძლევა პროგრამამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს ფსიქოლოგიურ მუშაობაში საერთაშორისო დონეზე. ეს იმიტომ ხდება, რომ მთელი ფსიქოლოგია გარკვეულწილად ექცევა კონტექსტის გავლენის ქვეშ და ამიტომ ქართული კონტექსტი უნიკალური თეორიული და ემპირიული შეხედულებების პოტენციურ წყაროს წარმოადგენს ფართო სფეროსთვის. ამავდროულად,

უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო პერსპექტივაზე აქცენტირება. ვინაიდან პერსონალი და სტუდენტები მიზანმიმართულად არიან ჩართულნი დისციპლინის საერთაშორისო დონეზე განვითარებაში, ეს ხელს შეუწყობს ინტელექტუალურ და პრაქტიკულ მუშაობას ფსიქოლოგიაში საქართველოს ფარგლებში, რადგანაც იგი არსებითად გამდიდრდება სხვაგან მიღებული შეხედულებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- თვითშეფასების დოკუმენტი და მითითებული დოკუმენტაცია
- სადოქტორო პროგრამის აღწერა
- კურიკულუმის რუკა
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო – საქართველო
- დონის აღმწერები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს
- შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან და ა.შ.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- იმ კავშირების რაოდენობისა და დიაპაზონის განვითარება, რომელიც პროგრამის გუნდს აქვს პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტის სფეროს მიღმა. კერძოდ, იმის უზრუნველყოფა, რომ პროგრამის მომავალი მიმოხილვისას არსებობდეს შესაბამისი დამსაქმებლების ფართო სპექტრი, რომლების მკაფიოდ განსაზღვრავენ მათთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.
- უზრუნველყოფილი იყოს პროგრამაში იმ უნარ-ჩვევებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ჩართვა, რომლებიც საჭიროა უნივერსიტეტის გარეთ, პროფესიულ კონტექსტში კვლევის უნარებისა და საგნობრივი ცოდნის წარმატებით გამოყენებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პანელს მიეწოდა პროგრამის მკაფიო მიზნები და სწავლის შედეგები (დოქტორანტურის პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში). მიზნები და სწავლის შედეგები ეფექტურია. პანელმა მოისმინა და წაიკითხა, რომ დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავებაში, თუმცა პანელს დარჩა შთაბეჭდილება, რომ პროგრამის გუნდს გაუჭირდა ამ სამუშაოში უნივერსიტეტის სექტორის გარეთ დამსაქმებელთა სრულად წარმომადგენლობითი სპექტრის ჩართვა. ეს აისახება შედეგებში, რაც შეიძლება მიუთითებდეს პროფესიული საჭიროებებიდან გამომდინარე დამსაქმებელთა უფრო მეტ ჩართულობაზე უნივერსიტეტის სისტემის მიღმა. ეს იმიტომ ხდება, რომ ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათთვის, ვინც დაინტერესებულია სწავლების კონტექსტით. შესაბამისად, შედეგები შეიძლება უკეთესად შეესაბამებოდეს იმ კომპეტენციებსა და სხვა მოთხოვნებს, რომლებსაც მოითხოვენ დამსაქმებლები საუნივერსიტეტო სექტორის მიღმა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები, მისი რეგულაციებისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე ეყრდნობიან მკაფიო პროტოკოლების მეშვეობით მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესაბამის პროცედურებს. შეფასების ჯგუფი სათანადოდ არის დაკომპექტებული სხვადასხვა როლის მქონე წევრებით, რათა მიიღონ ყოვლისმომცველი შეხედულებები. მეთოდები, მათ შორის რეგულარულად გამოყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, უაღრესად სათანადოა. უკუკავშირის სქემები საკმარისია და ძალიან კარგად არის შემუშავებული.

პროგრამას აქვს შესაბამისი მახასიათებლები თითოეული სწავლის შედეგისთვის. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს და მათ შედარებას განსაზღვრულ მახასიათებელთან; ასევე პროცედურას, რომელიც მოიცავს შეფასების შედეგებს პროგრამის სათანადო გაუმჯობესებისთვის. შეფასების გათვალისწინებული სქემა მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის ყველა სავალდებულო კურსსა და კვლევის კომპონენტს შორის ურთიერთობას.

როგორც ჩანს, პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიური პერსონალის ჩართულობით, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს იმ შედეგების მითითებით, რომლებსაც მოიცავს კონკრეტული კურსები და აქტივობები. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღწერეს თავიანთი როლი ზოგად პროცესში და აჩვენეს, რომ მზად არიან შემდგომი განვითარებისთვის. პროგრამის პერსონალი იღებს დახმარებას სწავლის

შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში; სასწავლო კურსით/ კვლევითი კომპონენტით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სავარაუდოდ ხორციელდება სასწავლო კურსისა და კვლევის კომპონენტის დასრულების შემდეგ, რაც შეეხება არაპირდაპირ მექანიზმებს, პროგრამა და მასთან დაკავშირებული მონაცემები შეგროვდება სემესტრის და წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე. შესაბამისად, სათანადოდ არის გათვალისწინებული თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე საკვლევი არეალის და განათლების დონის თავისებურებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- საგანმანათლებლო პროგრამა კულტურული პერსონოლოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა
- უნივერსიტეტის გზამკვლევი სწავლის შედეგების შეფასების შესახებ
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- კომიტეტის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების შესახებ
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პანელმა აღიარა, რომ პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად და წაიკითხა და უნივერსიტეტისგან გაიგო, რომ ეს ნამდვილად ასეა. პანელმა ასევე გამოავლინა, რომ სასწავლო პერსონალი ჩართული იყო პროგრამის შემუშავებაში. პანელმა დაინახა პედაგოგთა ენთუზიაზმი ახალი პროგრამის დიზაინის შესახებ. პერსონალი იცნობს სხვა პროგრამების მუშაობას, რომლებიც ანალოგიურად არის შექმნილი და ამიტომ პერსონალმა კარგად იცის როგორ იმუშავებს ყველაფერი.

პანელმა გამოავლინა, რომ პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ შეიცავდეს სწავლების ელემენტს, რომელიც შედგება 50 ECTS კრედიტისგან, კვლევის ელემენტთან ერთად.

სწავლების კომპონენტის ზომა ძირითადად შეესაბამება სადოქტორო პროგრამებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. სადოქტორო პროგრამები, როგორც წესი, არ არის კრედიტებით შეფასებული და ამიტომ არ არსებობს სტანდარტული ზომა შედარებისთვის. ამ ელემენტის ნაწილი ბუნებრივად გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან. სავალდებულო ელემენტი შეიცავს აქცენტს ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიაზე და სწავლებისა და სწავლის მიდგომებზე სხვა საკითხებთან ერთად. ასევე არსებობს ასისტენტ პროფესორის როლი და სხვადასხვა საგნებზე დაფუძნებული კურსები, რომლებიც შესაბამისია პროგრამის ყველა დოქტორანტისთვის. არჩევითი (არასავალდებულო) სასწავლო კომპონენტების დიაპაზონი პოტენციურად ძალიან ფართოა, ვინაიდან კურსები შეიძლება ჩატარდეს სხვა უნივერსიტეტებში (ეროვნულ თუ საერთაშორისო), უფრო მეტი წვლილის შესატანად. ეს კარგია იმ შემთხვევაში, თუ თსუ უზრუნველყოფს სხვაგან სწავლების ხარისხს. ეს არჩევითი კურსები საშუალებას იძლევა სწავლება გაიზომოს მაღალ სპეციალიზებულ დონეზე.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი დაყოფილია სამ ეტაპად ორი კვლევითი პროექტით, რომლებიც ფასდება განმავითარებელი შეფასებით, საბოლოო სადოქტორო დისერტაციის წარდგენამდე, რომლის შეფასებაც განმსაზღვრელია. მთლიანობაში დოქტორანტურას მინიმუმ სამი წელი სჭირდება და არსებობს მინიმალური სადოქტორო სტანდარტები დისერტაციის მახასიათებლების დასაზუსტებლად.

პანელის მოსაზრებით, ეს ნაწილები ქმნიან თანმიმდევრულ და ლოგიკურ პროგრამას, რომელიც, ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას. პროგრამის აღწერილობის ზოგადი დონე შეესაბამება ამ შედარებით სპეციალიზებულ კვალიფიკაციას. მისაღებია არჩევითი კურსების ღია და ეკლექტიკური სია, მათ შორის ძირითადი მასალა, რომელიც შესაბამისი იქნება პროგრამის ყველა სტუდენტისთვის, ისევე როგორც უფრო სპეციალიზებული, არჩევითი მასალა.

პროგრამის ფარგლებში კვლევით პროექტებზე დამოკიდებულების ხარისხი, სწავლის შედეგების ფორმულირება, სწავლისა და სწავლების მეთოდების ბუნება და შეფასების

სისტემა პანელს აძლევს იმის რწმენას, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონე შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თანამშრომლებისგან მოისმენილის საფუძველზე პანელმა აღიარა, რომ პერსონალს შორის არსებობს ძლიერი მისწრაფებები, რომ პროგრამამ მიაღწიოს უმაღლეს აკადემიურ დონეებს. პანელი მიესალმა ამ მისწრაფებას და ასევე გააცნობიერა თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტებს ვასწავლოთ როგორ გამოქვეყნონ თავიანთი ნაშრომები რეცენზირებად ჟურნალებში და მონაწილეობა მიიღონ მაღალი დონის კონფერენციებში, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის აკადემიური დონისადმი მისწრაფების მიუხედავად, პანელმა მიიჩნია, რომ დისერტაციის დაცვამდე ორი ნაშრომის გამოქვეყნების მოთხოვნა ძალიან მკაცრი იყო. პროგრამები მოითხოვს, რომ ეს პუბლიკაციები იყოს „რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალი რანგის საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო ნაშრომებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი)“. ერთ- ერთი პუბლიკაცია უნდა იყოს „საერთაშორისო ჟურნალში ან კონფერენციაში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის მიერ“. ნორმალურია დოქტორანტების მიერ რეცენზირებული ნაშრომების წარმოება და ამ პრაქტიკას მტკიცე წახალისება და მხარდაჭერა სჭირდება. თუმცა, როცა ეს მოთხოვნად არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ დისერტაციის წარდგენის დრო დამოკიდებული იქნება კონფერენციებისა და ჟურნალების რედაქტორების ადმინისტრაციულ პროცესებზე, რომლებსაც უნივერსიტეტი ვერ აკონტროლებს. ამან შესაძლოა ზოგიერთ სტუდენტს ზიანი მიაყენოს. აკადემიური პუბლიკაციების მაღალი კონკურენტუნარიანობა ასევე ნიშნავს, რომ სტუდენტებმა შეიძლება საბოლოოდ წარადგინონ ნამუშევრები დაბალი ხარისხის ჟურნალებში, რათა უზრუნველყონ დროული პუბლიკაცია და არა მაღალი ხარისხი. მომავალში შესაძლოა თსუ-ს საკუთარი ჟურნალი გახდეს ამ პრობლემის ნაწილი. რაც მნიშვნელოვანია, პროგრამის სწავლის შედეგები შეიძლება დაკმაყოფილდეს დისერტაციით მაშინაც კი, თუ მისი შინაარსი არ არის მისაღები რეცენზირებული, ინდექსირებული ჟურნალისთვის. დოქტორანტურისა და ჟურნალის გამოცემის შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია, მაგრამ ისინი არ არის იგივე და უნივერსიტეტი შესაძლოა ვერ დაეხმაროს თავის სტუდენტებს, როცა დოქტორანტების შეფასების მსჯელობას გადასცემს ჟურნალების რედაქტორებსა და კონფერენციის ორგანიზატორებს. უნივერსიტეტი უფრო დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარი სტუდენტების შეფასებაში.

ამის საფუძველზე, პანელის შეთავაზებაა, რომ შეფასების ეს მიდგომა რეგულარულად და მჭიდროდ განიხილებოდეს. ეს უნდა მოიცავდეს პუბლიკაციების წარმატების შემოწმებას - სტუდენტების რეიტინგს, პუბლიკაციის გავლენას სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადაზე და იმ ჟურნალებისა და კონფერენციების მახასიათებლებს, რომლებიც გამოიყენება ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად. მოკლედ, პანელის აზრით, უნდა იყოს ძლიერი მხარდაჭერა ჟურნალის პუბლიკაციისთვის, მაგრამ დისერტაციის წარდგენამდე პუბლიკაციის მოთხოვნა შეიძლება არ იყოს გამოსადეგი. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პანელმა დაადგინა, რომ ქართულ კონტექსტში დოქტორანტები განიცდიან მნიშვნელოვან ზეწოლას სადოქტორო ხარისხის დაფინანსების ზოგადი ნაკლებობის გამო და ამიტომ, სადაც ეს შესაძლებელია, თავიდან უნდა ავიცილოთ ის მოთხოვნები, რომლებიც ან ზედმეტად მძიმეა, ან სწავლის პერიოდის გახანგრძლივებას მოითხოვენ.

პედაგოგთა გუნდთან დისკუსიისას, პანელისთვის ასევე ცხადი გახდა, რომ, ზოგადად, შეიმჩნება სტუდენტების ჩართულობის კარგი დონე და მათ ხშირად უყურებენ როგორც პარტნიორებს და თანამშრომლებს კვლევით-წარმოების პროცესში. ეს მიუთითებს კვლევითი

საქმიანობისა და აკადემიური თანამშრომლობის მისასალმებელ კულტურაზე, რაც კარგ კონტექსტს იძლევა სადოქტორო სწავლებისთვის. კვლევისა და თანამშრომლობის ეს კულტურა დასაფასებელია. ამიტომ, ჩვენ მოველით, რომ ადვილი იქნება ხელმძღვანელობის მინიმალური სტანდარტების დანერგვა, რადგან ბევრი სტუდენტი უკვე მიიღებს ხელმძღვანელობის მაღალ დონეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- თვითშეფასების დოკუმენტი და მასში მითითებული დოკუმენტაცია
- პროგრამის აღწერილობა
- მინიმალური სადოქტორო სტანდარტი
- შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან
- შეხვედრა ადმინისტრაციასთან
- შეხვედრა სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- თსუ- ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 გადაწყვეტილება – „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- უსდ-მ განიხილოს დისერტაციის წარდგენამდე ორი პუბლიკაციის საერთაშორისო ინდექსირებულ ან მაღალი გავლენის მქონდე ჟურნალში გამოქვეყნების მოთხოვნის გაუქმება. ეს მოთხოვნა უნდა შეიცვალოს დისერტაციის უფრო დეტალური შეფასების კრიტერიუმებით, რათა დასკვნები იმის შესახებ დააკმაყოფილა თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგები, გამოიტანოს თსუ-ს კომისიამ და არა ჟურნალის რედაქტორებმა და კონფერენციის ორგანიზატორებმა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

პანელი მიესალმა ამ პროგრამის დანერგვის გადაწყვეტილებას მკაფიო დასაბუთებით და დათანხმდა, რომ პროგრამის საერთო მიდგომა და სტრუქტურა შეესაბამება ამ საფეხურის მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პანელმა მიიჩნია, რომ პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი პროგრამის	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სადოქტორო პროგრამას ჩვეულებრივ არ აქვს კრედიტების განსაზღვრული რაოდენობა და ეს აქაც ასეა. სასწავლო კომპონენტი (50 ECTS) შეესაბამება სწავლისა და სწავლების საერთო სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე საჭიროა მაღალი ხარისხის ხელმძღვანელობა. ამრიგად, პროგრამის ხარისხი დამოკიდებული იქნება ხელმძღვანელების კვალიფიკაციაზე, გამოცდილებასა და უნარებზე, ხელმძღვანელობის პირობებზე და სტუდენტთა ჩართულობის დონესა და პერიოდზე. ბიბლიოთეკა და კვლევითი რესურსები ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტები იქნება.

რაც შეეხება სასწავლო კურსებს, პანელმა დაადგინა, რომ კურსების შინაარსი და წონა შესაბამისია. საგნის შინაარსს ფარავს ორი 5-კრედიტიანი კურსი, რომლებიც მოიცავს კულტურული პერსონოლოგიის სხვადასხვა თემებს, რომლებიც დაკავშირებულია კომუნიკაციასთან, კულტურასთან და მნიშვნელობის პრობლემასთან, ასევე, კიდევ ხუთი კრედიტი, რომელიც ორიენტირებულია კულტურაზე, სემიოტიკასა და ფსიქოანალიზზე. ეს უკანასკნელი კურსი შეესაბამება იმ კურსს, რომელიც ისწავლება ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. შემდეგ ისწავლება საგნობრივი და კარიერასთან დაკავშირებული უნარები, რათა სტუდენტები აღიჭურვონ კვლევისთვის (სწავლის მეთოდოლოგიით) და სწავლებისთვის (სწავლებისა და სწავლის მიდგომების გათვალისწინებით). ამ ოც კრედიტს შემდეგ დაემატება კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევის კულტურისა და სწავლების გამოცდილებას უმაღლეს სასწავლებლებში 10 კრედიტიანი სადოქტორო სემინარის და 10 კრედიტიანი პროფესორის ასისტენტობის მეშვეობით. შესაბამისად, ეს ორმოცი კრედიტი უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას და ასევე უზრუნველყოფს მათთან შესაბამისობაში არსებულ ღირებულ გამოცდილებას. ბოლო ათი კრედიტი ითვალისწინებს სტუდენტის არჩევანს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ თეორიული, პრაქტიკული ან გამოყენებითი ცოდნა ან უნარები, რომლებსაც

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მათი საკუთარი ეზოთერული კვლევის სფეროებისთვის. ეს უკანასკნელი კომპონენტი პოტენციურად ძალიან ფართოა, რადგან ის იძლევა კურსების გავლის საშუალებას სხვა დაწესებულებებში. პანელმა შეაფასა, რომ სასწავლო პროგრამის შემადგენლობა და დაყოფა კარგად შეეფერება იმ ხარისხს, რომელიც, კარგად მიწოდების შემთხვევაში, საშუალებას მისცემს სტუდენტებს გახდნენ ეფექტური მკვლევარები ამ მოცემულ სფეროში.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ნაწილდება სასწავლო კურსების შინაარსის მიხედვით. ასევე, საკონტაქტო საათების რაოდენობა ადეკვატურად არის განაწილებული სწავლებასა და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის. მაგალითად, სასწავლო კურსში, საველე სემინარი, რომელიც ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში, წარმოდგენილია 10 კრედიტით (დანარჩენი კურსები, პროფესორის ასისტენტობის გარდა, 5 კრედიტია), მოიცავს კვირაში 1 საათიან კონსულტაციას (სულ 15 საკონტაქტო საათი) და 235 საათს დამოუკიდებელი მუშაობისთვის (პროგრამაში ყველაზე მეტი დამოუკიდებელი სამუშაო საათები). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საგანში სრულად არის გათვალისწინებული კურსის სპეციფიკა და საჭიროებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- თვითშეფასების ანგარიში და მასში მითითებული დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

მთლიანობაში, კურსის შინაარსი შესაფერისია იმისთვის, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ სწავლის შედეგებს ფსიქოლოგიის დოქტორანტურის საფეხურზე. ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურა ამისათვის შესანიშნავ კონტექსტს იძლევა. თუმცა, ეს უნდა გამყარდეს ხელმძღვანელობის სიხშირისა და შინაარსის მინიმალური სტანდარტებით. ეს უზრუნველყოფს გარანტიას, რომ მოსალოდნელი ხარისხი არის ყველასთვის.

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	**X**	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. წინაპირობების მიხედვით, აპლიკანტებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი კრიტერიუმები:

- ფლობდნენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ფსიქოლოგიის ან ანთროპოლოგიის ნებისმიერ დარგში/ქვედარგში;
- ფლობდნენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სოციალური, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული მეცნიერებების და მედიცინის ნებისმიერ დარგში/ქვედარგში;

დოქტორანტები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე ან მოქმედი ენის სერთიფიკატის წარდგენით ან თსუ- ს მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის ტესტის ჩაბარებით. ყველა კანდიდატმა უნდა წარადგინოს კვლევის წინადადება და წარუდგინოს იგი მიმღებ კომისიას გასაუბრების დროს. კანდიდატს ასევე მოეთხოვება რეკომენდაცია ან თანხმობა პოტენციური ხელმძღვანელისგან.

საქართველოს ფარგლებს გარეთ უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრის ხარისხის მქონე სტუდენტების მიღება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სტუდენტებს ასევე ენიჭებათ შიდა და გარე მობილობის უფლება. დოქტორანტმა, რომელსაც

სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე და რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის სერტიფიკატი B2 დონეზე ან ჩააბაროს თსუ-ს მიერ ორგანიზებული ქართული ენის წერითი გამოცდა.

ვინაიდან კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სადოქტორო პროგრამა ახალია და შეავსებს არსებულს აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა უკვე ჩარიცხული სტუდენტებისთვის შეიმუშავა მობილობის გაიდლაინები და გრაფიკები. არარეგულარული მობილობის პროცესი განისაზღვრება შემდეგი ნაბიჯებით:

- ფაკულტეტის საბჭო და დარგობრივი საბჭო ამტკიცებენ კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია კრიტერიუმების განსაზღვრაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე არსებული სტუდენტების ახალ პროგრამაზე გადაყვანის შესახებ.
- ამიტომ, არარეგულარული მობილობა ცხადდება თსუ-ს სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად.
- კანდიდატებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, უნდა წარუდგინონ კვლევის წინადადება შესარჩევ კომისიას, რათა დაამტკიცონ, რომ დისერტაცია კვლავ აქტუალურია და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამაზე სტუდენტების მიღება განისაზღვრება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების მიხედვით, თითოეული სასწავლო პროგრამისთვის სტუდენტური შემადგელობა იგეგმება სპეციალური ფორმულის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია რამდენიმე ფაქტორი, ესენია: ბოლო წლებში მსურველთა რაოდენობა, სტუდენტთა მობილობის შემთხვევების რაოდენობა, უნივერსიტეტის რესურსები და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. ადმინისტრაციის მიერ განხილული დოქტორანტების რაოდენობა არის 5.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა კულტურული პერსონალოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები
- თვითშეფასების ანგარიში
- თსუ-ს ვებგვერდი
- ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დებულება;
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური პერსონალის უმეტესობა მაღალკვალიფიციურია და აქვს კვლევის მნიშვნელოვანი გამოცდილება. სტუდენტებთან მათი ყოველდღიური კომუნიკაციით და ინტენსიური აკადემიური ურთიერთქმედებით, პერსონალი გადასცემს ამ ცოდნას და გამოცდილებას. თუმცა, პანელს დარჩა ორი შეკითხვა პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევითი პროექტების შესწავლისა და სტუდენტებთან დისკუსიის შემდეგ:

1. მონაწილეობს თუ არა ყველა აკადემიური პერსონალი ან ახორციელებს თუ არა თავად საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებს? პანელი დარწმუნდა, რომ ზოგიერთი თანამშრომელი ამას დროდადრო აკეთებს. თუმცა, გაუგებარია, მიიღებს თუ არა ყველა სტუდენტი მონაწილეობას კვლევით პროექტებში. ასე რომ, ეს გამოცდილება სტუდენტებისთვის არ არის გარანტირებული.
2. სტუდენტების რა ნაწილი მონაწილეობს კვლევით პროექტებში თანამშრომლებთან ერთად? პანელს არ მოუსმინა სტუდენტებისგან იმ კვლევით პროექტებში ჩართულობის ძლიერი მტკიცებულებები, რომლებსაც მათი ხელმძღვანელი ახორციელებდა. მხოლოდ ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ ჟურნალში (თსუ ჟურნალი) გამოქვეყნებული სტატიის თანაავტორი გახლდათ.

კვლევის მიმართ ზოგადი მიდგომა შემდეგია: სტუდენტები იღებენ ინდივიდუალურ კვლევით გრანტს ადგილობრივი ფონდისგან (შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდი). ხელმძღვანელს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამაში, რომ ეხმარება სტუდენტს პროექტის სწორად ჩამოყალიბებაში. თუმცა, ურთერთობა ფონდთან არის რთული და სტრესული სტუდენტისთვის. ზოგჯერ პროცესი არ გამოდის და სტუდენტები ვერ იღებენ საერთაშორისო პუბლიკაციისთვის საჭირო გრანტს და ამის ნაცვლად აქვეყნებენ ნაშრომებს ადგილობრივ ჟურნალში, როგორიცაა თსუ-ს რეცენზირებული ჟურნალი.

ყველა სტუდენტის სათანადო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პროგრამამ უნდა შეუწყოს ხელი სტუდენტების პრაქტიკული კვლევის უნარების განვითარებას, რათა მათ შეეძლოთ ეფექტური გზებით ჩაერთონ კვლევით პროექტებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ უფრო გამოცდილი მკვლევარები და მეცნიერები, რომლებიც კვლევით აქტიურნი და საერთაშორისოდ აღიარებულნი არიან. თუ პროგრამას არ ჰყავს საკმარისი პერსონალი ამის მისაღწევად, მან უნდა მოიწვიოს მეცნიერები, რომლებიც პროგრამაში კვლევით პროექტებს

შეიტანენ და უზრუნველყოფენ მათში სტუდენტების ჩართულობას.

პროგრამის მიზნების მიღწევისთვის, პროგრამამ უნდა მოამზადოს არა მხოლოდ აკადემიური მეცნიერები, არამედ პრაქტიკოსები, რომლებიც იმუშავებენ საგანმანათლებლო, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში და ზოგიერთ ბიზნეს ორგანიზაციაში. ეს ასევე მოითხოვს კვლევის შესრულების ხარისხს, დამატებით უნარებს, რომლებიც არ არის აუცილებელი უნივერსიტეტში, მაგრამ რომლებლსაც დააფასებენ დამსაქმებლები. ამ სფეროს ყურადღება უნდა მიექცეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და

ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ყველა სტუდენტი წახალისდეს, რათა ისინი ჩაერთონ კვლევით პროექტებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მკვლევარები, რომლებიც ამჟამად თავად არიან ქტიურად ჩართული კვლევით საქმიანობაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ყველა კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის შედეგები ჩამოყალიბებულია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერების საფუძველზე და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით კურსებში შემოთავაზებულია მრავალფეროვანი კურსები.

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (როგორც საკონტაქტო, ასევე

დამოუკიდებელი საათები) შეესაბამება კურსის სირთულეს და სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსის შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსებზე განისაზღვრება სწავლის/სწავლების შესაბამისი მეთოდები. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლება/ სწავლების მეთოდების შესაბამისი აქტივობები: ზეპირი მეთოდი, დემონსტრაციის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, დისკუსია-დებატები, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება („თანააღმზრდელის" როლი), წერილობითი სამუშაო, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდები, გონებრივი იერიში, ახსნა, ანალიზის მეთოდი, პრეზენტაცია, ქვიზები და ინდივიდუალური სასწავლო და კვლევის პროგრამა (წარმოდგენილია დანართის სახით). თითოეული კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურად არის ახსნილი. წარმოდგენილი შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები სრულად აფასებს კურსის მიზნებით განსაზღვრულ თითოეულ სასწავლო შედეგს. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო თანამედროვე, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და ონლაინ ჟურნალები. ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ვებგვერდზე: e-learning.tsu.ge. მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე.

იმის დასადგენად, თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ყოველი სემესტრის შემდეგ ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის და 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარებულმა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევამ, რომელიც ეხებოდა 29 საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, აჩვენა, რომ ელექტრონული სწავლებით კმაყოფილი სტუდენტების რაოდენობა მეტია უკმაყოფილო სტუდენტების რაოდენობაზე. თუმცა მე-14 დანართში წარმოდგენილი მასალების განხილვისას ირკვევა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შორის უარყოფითი შეფასების მაჩვენებელი მაღალია. კერძოდ, სტუდენტთა 43,2%-მა უპასუხა კითხვას: როგორ შეაფასებდით ელექტრონული სწავლების პროცესს მიმდინარე სემესტრში? - უარყოფითად აფასებს, ხოლო 38% ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს.

ასევე, აუცილებელია რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგალითად: როგორ შეაფასებდით სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულ შეფასების მეთოდებს დისტანციური სწავლების რეჟიმში? (შეფასებისთვის გამოიყენება 3- ბალიანი სისტემა, სადაც 1 აღნიშნავს „უარყოფითს", ხოლო 3 – „დადებითს"). 70% დადებითად აფასებს, თუმცა ღია პასუხების შინაარსის ანალიზის დროს გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: ელექტრონული სწავლების საგამოცდო ნაშრომების ანონიმურობა; გასაჩივრების შესაძლებლობა; საგამოცდო დროის გაზრდა; ასინქრონული სწავლების განვითარება - ლექციების ჩაწერა და ატვირთვა ელექტრონულ პორტალზე; შეფასების სისტემის დახვეწა - „დასწრება არ უნდა ფასდებოდეს".

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები/ ლიტერატურა იყო ადეკვატური (აქტუალურობის, სიახლის და რაოდენობის მიხედვით) და ფაკულტეტის სტუდენტების 68% მას დადებითად აფასებს, რაც ასევე დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსებში.

თვითშეფასების დოკუმენტის განხილვისას და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს ირკვევა, რომ თსუ და ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავენ გუნდის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პროფესიონალურ განვითარებაზე სწავლებასა და კვლევაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების

დანერგვის კუთხით, რაც სხვადასხვა ღონისძიებასთან ერთად გულისხმობს ელექტრონული სწავლების გაძლიერებას Moodle პლატფორმის გამოყენებით. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ლექტორებსა და სტუდენტებს შორის საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებას და ინფორმაციის ეფექტურ გავრცელებას. თუმცა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის დოკუმენტში დისტანციური სწავლების შესახებ (დაიწყო 04.04.2020 და დასრულდა 10.04.20) ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ კომენტარს: 5 მეგაბაიტზე მეტი ზომის ფაილების ატვირთვა შეუძლებელია Moodle-ზე, რაც სერიოზული ხარვეზია. უფრო მყისიერი IT მხარდაჭერა აუცილებელია, არა მხოლოდ ცენტრალურ დონეზე (ეს უბრალოდ ვერ მიაღწევს ამდენს), არამედ ადგილობრივად, ფაკულტეტის დონეზე. როდესაც სტუდენტს/ ლექტორს აქვს შეკითხვა, მაშინვე უნდა იყოს ხელმისაწვდომი ტელეფონით/ ჩატით, მაგალითად, ფაკულტეტის სწავლების სერვისი ხელმისაწვდომია ძალიან მყისიერად და არა მესიჯის LMS-ზე გაგზავნით.“

სასურველია, რომ გამოკითხვისა და თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა (დანართი 1)
- პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 4)
- გამოკითხვის ინსტრუმენტები და გამოკითხვის შედეგები (დანართი 14)
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება No68/2018 – „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15977
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება No71/2018 – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“. https://www.tsu.ge/ka/legalakad/15980
- ელექტრონული პლატფორმები, მაგ.: Zoom- ის ინსტიტუციური ვერსია,
- https://lms.tsu.ge/ and https://e-learning.tsu.ge/

რეკომენდაციები:

o წინადადება(ებ)ი, რომელიც უნდა განიხილებოდეს უსდ- ს მიერ, სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

თითოეული პროგრამისთვის იქმნება სტუდენტების შეფასების სისტემა და თითოეული სილაბუსი აღწერს შეფასების მეთოდს და ფორმას; სწავლების მეთოდები ნათელია და ადაპტირებულია კურსის სწავლის შედეგებზე. სწავლის შედეგების შეფასება გაადვილებულია მასწავლებლებისთვისაც და სტუდენტებისთვისაც, რადგან სწავლების მეთოდები ადაპტირებულია თითოეული კურსის მიზანთან. შეფასების სისტემა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით და სტუდენტის სწავლის შედეგები და მიღწევები შესაბამისად ფასდება. სტუდენტები შეფასებას იღებენ სწავლის პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) დახმარებით.

საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და საბოლოო შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს (საშინაო დავალება, ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, ზეპირი/ წერილობითი გამოკითხვა, პრაქტიკული/ თეორიული დავალებების შესრულება, დისკუსიებში მონაწილეობა და ა.შ.)

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ყოველი შეფასების ფორმას და კომპონენტს გარკვეული წილი ჰქონდა საბოლოო შეფასებაში შეფასების საერთო ქულებიდან (100 ქულა), რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტებს აკადემიური სემესტრის დასაწყისში. თითოეული პროფესორი წყვეტს, როგორ გადაანაწილოს ქულები კომპონენტების მიხედვით, სხვადასხვა აქტივობებიდან და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ეს ინფორმაცია სტუდენტებმაც დაადასტურეს და ამ პროცესთან დაკავშირებით არანაირი არასწორი კომუნიკაცია არ ყოფილა.

დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ არსებობს ნაშრომის დაცვის წინაპირობა, მინიმუმ 2 სამეცნიერო პუბლიკაცია, ასევე 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი და ზეპირი პრეზენტაცია. უნივერსიტეტის მიერ დაარსებულ ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციების წარდგენის კარგი შანსი არსებობს.

ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს შედეგებისა და შუალედური და დასკვნითი გამოცდების გასაჩივრების მექანიზმი საგამოცდო ქულების ელექტრონულ სისტემაზე გამოქვეყნებიდან 48 საათში - http://lms.tsu.ge, რაც მათთვის კომფორტულია. როგორც აღინიშნა, ხშირად არ იყენებენ, რადგან გამოცდები სამართლიანად არის შეფასებული. მაგრამ მათ გაიხსენეს იმ სტუდენტების გამოცდილება, რომლებმაც გაასაჩივრეს და მათი ნაშრომები განიხილეს რეგულაციებისა და წესების დაცვით.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი კვლევით ნაშრომებზე მომუშავე დოქტორანტების პროგრესის შეფასების პროცესში.

თუმცა, ზოგიერთ სილაბუსში არის უზუსტობები. მაგალითად, კურსში "შერჩეული თემები

ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში: კომუნიკაცია, კულტურა და მნიშვნელობის პრობლემა", შუალედური შეფასება და საბოლოო გამოცდის ქულები ერთნაირია. კერძოდ, შუალედური შეფასება ტარდება ქუიზის სახით (შუალედური წერითი ქუიზი, რომელიც ტარდება მე-8 სასწავლო კვირაში; 40 დახურული კითხვით, თითოეული მათგანი ფასდება 1 ქულით. სწორი პასუხი - არის 1 ქულა, ხოლო არასწორი პასუხი - 0 ქულა) და ფასდება 40 ქულით, როგორც დასკვნითი გამოცდა (ფინალური გამოცდა მოიცავს 40 კითხვას, რომელზედაც სტუდენტი იღებს 1 ქულას სწორი პასუხისთვის, 0 ქულას არასწორი პასუხისთვის. სწორი პასუხების ჯამი იძლევა მაქსიმუმ 40 ქულას). სასურველია, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულები განსხვავდებოდეს ქულების რაოდენობით, ასევე, ფინალური გამოცდის ფორმატში წარმოდგენილი ვარიანტები გაერთიანდეს და, შესაბამისად, შეფასდეს ქულების განსხვავებული რაოდენობით, კერძოდ: დახურული კითხვა მიახლოებითი პასუხებით, ღია ტიპის კითხვა(ები) უნდა შეფასდეს 1 ქულით, თუმცა უნდა გამოიყენებოდეს ფოტოები, დოკუმენტები, ცხრილები, სტატიები და ა.შ. ასევე კითხვის ანალიზი უნდა შეფასდეს მეტი ქულით. კურსის „ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია“ სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი, არ არის დანომრილი, რაც აადვილებს კურსის შინაარსში მითითებული ლიტერატურის შედარებას. სასურველია ამ მცირე უზუსტობის გამოსწორება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო გეგმა
- ელექტრონული პორტალი: Lms.tsu.ge
- ელექტრონული პორტალი: e-learning.tsu.ge
- ინტერვიუ დოქტორანტების ხელმძღვანელებთან
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის „შერჩეული თემები ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში: კომუნიკაცია, კულტურა და მნიშვნელობის პრობლემა“ სილაბუსის სიზუსტის უზრუნველსაყოფად და, ზოგადად, სილაბუსის სიზუსტისა და სიცხადის უზრუნველსაყოფად, მოხდეს ინფორმაციის მონიტორინგი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4. **სტუდენტების შეფასება**	☐	X	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს თითოეული პროფესორისაგან. პროფესორები მზად არიან კონსულტაციის გასაწევად. სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ მათ და უშუალოდ მოსთხოვონ კურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ხელმძღვანელები და პროფესორები მზად არიან კონსულტაციის გასაწევად ნებისმიერ დროს. კონსულტაციის შემთხვევაში, თუ სტუდენტს ესაჭიროება მათი მხრიდან რაიმე სახის დახმარება, დაუყოვნებლივ იღებენ მას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. შენობა, სადაც ორივე პროგრამა ხორციელდება, მოიცავს რამდენიმე სივრცეს, რომლებიც შექმნილია სტუდენტების დასახმარებლად და აკადემიური კონსულტაციების გასაწევად.

გარდა ამისა, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ აქვთ წვდომა თსუ-ს კარიერის მხარდაჭერის სერვისებზე, რითაც უზრუნველყოფილია სტაჟირება და სამომავლო დასაქმების შესაძლებლობები. ისინი ყოველდღიურად იღებენ ელექტორნულ წერილებს ახალი კონფერენციების, სამუშაო შესაძლებლობებისა და ნებისმიერი აქტივობის შესახებ, რომელშიც მათ შეიძლება სურდეთ მონაწილეობა.

ინტერვიუში გამოიკვეთა სტუდენტების დადებითი დამოკიდებულება აკადემიური პერსონალის მიმართ. ისინი ყოველთვის მზად არიან გაუზიარონ სტუდენტებს ყველა სახის ინფორმაცია და რჩევა, რათა გააუმჯობესონ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო პროცესები. უფრო მეტიც, სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ თანაბრად ექცევიან, როგორც მომავალ კოლეგებს. პერსონალის ეს დამოკიდებულება და ქცევა

ამაღლებს სტუდენტების მოტივაციას. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ წვდომა მთელ ინფორმაციაზე, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის შიგნით ჩატარებულ კონფერენციებთან, სტაჟირებასთან და ტრენინგებთან. უზრუნველყოფილია Moodle-ის უფასო ონლაინ სწავლების მართვის სისტემა (e-learning.tsu.ge), რომელიც წვდომას აძლევს სტუდენტებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს ყველა სტუდენტს შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თავისი „პროფილის" მეშვეობით, გაეცნოს განვლილ სასწავლო კურსებში მიღებული ქულებს, მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე ინფორმაცია და ა.შ. lms.tsu.ge და e-learning.tsu.ge პორტალები აქტიურად გამოიყენება უნივერსიტეტის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის. მათ უფასოდ აქვთ წვდომა ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა JSTOR, Elsevier, მსოფლიოს უდიდესი საერთაშორისო გამომცემელი Publisher, ჟურნალები, რომლებიც ინდექსირებულია Web of Science და Scopus მონაცემთა ბაზებში და სხვა.

გარდა ამისა, კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევებისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 4 კვლევითი ცენტრი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხთა კვლევის ცენტრი, ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, სოციალური კულტურული პერსონალოლოგიის ცენტრი, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევებისა და ინტერდისციპლინარული პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი. ეს ის ადგილებია, რომლებიც დოქტორანტებმა ახსენეს ინტერვიუს დროს. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი აღნიშნული კვლევითი ცენტრების საქმიანობაში, რომლებიც ადაპტირებულია სტუდენტებისთვის, ვისაც ესაჭიროებათ კვლევითი სივრცე კვლევითი პროექტებისა და დისერტაციისთვის.

გაძლიერებული მობილობის თვალსაზრისით, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპეციალური გრანტები და Erasmus+-ის მობილობის გრანტი. გარდა ამისა, ზოგი კონფერენცია, რომელიც იმართება თსუ-ში, ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის, როგორც პლატფორმა მათი დასკვნების წარმოსაჩენად. კვლევის მონაცემების გამოქვეყნება დაფინანსდება, თუ ნაშრომის გავლენა საკმარისად მაღალი იქნება.

გარდა ამისა, არიან უცხოელი სტუდენტები უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. აკადემიური პერსონალი ასევე ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში და პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა, დოქტორანტურა
- პროგრამა და სასწავლო გეგმა (დოქტორანტურა)
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- დაწესებულებაში ვიზიტი

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის მომსახურება	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- ➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რათა წარმატებით შეასრულონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.
- ➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სწორად განახორციელების საშუალებას იძლევა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

დოქტორანტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს კმაყოფილება დისერტაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით: ისინი აფასებენ იმ სპეციალისტების ხელმძღვანელობას, რომლებიც მათ აკადემიურმა გუნდმა დაუნიშნა. ზოგიერთ მათგანს ერთზე მეტი ხელმძღვანელი ჰყავდა, რაც დადებით მხარედ იქნა აღიარებული. ისინი თავიანთი სფეროს კვალიფიციური სპეციალისტები არიან და სტუდენტები მათგან იღებენ სწორ ხელმძღვანელობას. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს სწავლების გამოცდილება. დისერტაციის ხელმძღვანელი შეირჩევა შესაბამის საკვლევ თემაზე სამეცნიერო კვლევის გამოცდილების მიხედვით. სწავლების მეთოდი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამის ბენეფიციარმა ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ პროგრამის შესახებ საკმარისზე მეტ ინფორმაციას იღებენ აკადემიური პერსონალისგან.

გარდა ამისა, 2021 წლიდან ფაკულტეტი მონაწილეობს Erasmus+ Consortium-ის პროექტში: „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნა“, რაც ძალიან კარგი მხარდაჭერაა ფაკულტეტის მიერ ინიცირებული ფსიქოლოგიური საკონსულტაციო და ტრენინგ ცენტრისთვის.

მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჩართულები არიან კვლევებში, გაცვლით პროგრამებში და მონაწილეობენ კონფერენციებში აკადემიური პერსონალის დახმარებით. დოქტორანტებმა დაადასტურეს, რომ ეს მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ მონაცემები თავიანთ კვლევებში და გამოსაქვეყნებელ

სტატიებში.

მიუხედავად ამ ფაქტისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სჭირდებათ ფინანსური მხარდაჭერა დოქტორანტების საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის. ეს დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში, როგორც „გაუმჯობესების სფერო“.

ინტერვიუს დროს სტუდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათ უკვე გამოაქვეყნეს თავიანთი სტატიები რეფერირებად ჟურნალებში. ზოგიერთი მათგანი მუშაობს პროექტებსა და კვლევებზე და ამზადებს სტატიას სასწავლო წლის ბოლოს გამოსაქვეყნებლად. ამასთან, ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ იღებს საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სადოქტორო სტიპენდიას.

სტუდენტების უმეტესობა იწყებს მუშაობას ხელმძღვანელების, ან აკადემიური პერსონალის რეკომენდაციით. თუმცა, სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ სამუშაო დასაქმების კონსულტაციის დახმარებით. სტუდენტების კარიერული განვითარების მომსახურება ყოველდღიურად უჭერს მათ მხარს შრომის ბაზრის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების მეშვეობით. სტუდენტები იღებენ შეტყობინებებს ახალი სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ელექტრონული ფოსტით, კარიერული განვითარების ცენტრიდან.

გარდა ამისა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს ნეგატიური დამოკიდებულება უნივერსიტეტში სამუშაო შესაძლებლობების/ასისტენტობის შესახებ. როგორც აღნიშნეს, მათთვის უკეთესია, რომ სხვა სამუშაოს შესწავლის პროცესში ბევრი დრო და რესურსი არ დახარჯონ. ამ მხრივ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რადგან კვლევაზე და სტატიებზე მუშაობას საკმაოდ დიდი დრო და ენერგია სჭირდება. მათთვის უკეთესი იქნება, რომ სამსახური თავად უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი ხელფასით, რომელსაც სხვა დამსაქმებელი სთავაზობს, რათა მეტი დრო დაუთმონ ზემოთ აღნიშნულს.

ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა ფაკულტეტის ფარგლებში ჩატარებული კვლევები და დააფიქსირა იმ პერსონალის მხარდამჭერა, რომელიც მუშაობს მკვლევარ სტუდენტებთან ერთად. ასევე წაიკითხა რამდენიმე კარგი პრაქტიკის მაგალითი ხელმძღვანელობითი სწავლების შესახებ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოხატა შეშფოთება, რომ კვლევის ეს კულტურა უნდა იყოს გამყარებული ხელმძღვანელობითი სწავლების მინიმალური სტანდარტებით, რომლებიც ეფექტურად განხორციელდება და გაივლის მონიტორინგს ყველა დოქტორანტისთვის. ხელმძღვანელობის არაფორმალურობა და სტუდენტების ოპორტუნისტული ჩართულობა პერსონალის პროექტებში მიანიშნებს, რომ ზოგიერთ სტუდენტს ექნება შესანიშნავი გამოცდილება. მაგრამ ეს არ იძლევა გარანტიას, რომ გამოცდილებას ყველა მიიღებს. არ არსებობს მინიმალური სტანდარტები ხელმძღვანელებთან შეხვედრების შინაარსისა და სიხშირის შესახებ. არ არსებობს სტუდენტის ხელმძღვანელობის ფორმალური მონიტორინგი, გარდა სემესტრის ბოლოს ჩატარებული ზოგადი ხარისხის კვლევისა, რომლის დროსაც სტუდენტები ზოგადად აფასებენ ხელმძღვანელობის პროცესს. (დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი განსაზღვრავს მხოლოდ იმას, რომ „სამეცნიერო ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს დოქტორანტს შესაბამის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან აკადემიური და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.“ იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 1, მუხლი. 5. ასევე არსებობს მინიმალური სტანდარტები პროგრამის ხელმძღვანელისთვის. იხილეთ დანართი 2, პროგრამის ხელმძღვანელი. თუმცა, არ არსებობს დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელის მხარდაჭერის მინიმალური

სტანდარტების უზრუნველყოფა და მონიტორინგი.) ასევე, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სტუდენტი შეძლებს ჩაერთოს პერსონალის კვლევით პროექტში, რათა ისარგებლოს ამ გამოცდილებით. ზოგიერთი სტუდენტი, სავარაუდოდ, მიიღებს ასეთ სარგებელს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო, რომ ეს გარანტირებული არ არის ყველა შემთხვევაში. პროგრამის აღწერამ ნათლად უნდა უჩვენოს სტუდენტებს ყველა ის შესაძლებლობა, რაც მათ მიეცემათ და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ყველაფერი, რაც ამ დოკუმენტში შედის, უნდა მიეწოდოს თითოეულ სტუდენტს. თუ კონკრეტული შესაძლებლობა გარანტირებული არაა ყველა სტუდენტისთვის, მაშინ მკაფიო უნდა იყოს სხვა გზები, რომლითაც შესაძლებელია მსგავსი მხარდაჭერის უზრუნველყოფა სწავლის შედეგების მისაღწევად.

ხელმძღვანელობის ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი პროგრამებისთვის, რომლებშიც სწავლების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია ხელმძღვანელობის გზით. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია ფორმალურ სისტემებზე ფოკუსირება ამ სფეროში ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მაგისტრატურის/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**6**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა, დოქტორანტურა
- სადოქტორო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტები
- პროგრამა და სასწავლო გეგმა (დოქტორანტურა)
- დაწესებულებაში ვიზიტი

რეკომენდაციები:

- ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის ხელშემწყობი ასპექტები, რომელიც ხელს შუწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შიგნით ასისტენტების ხელმისაწვდომობა, რომლებსაც აქვთ საკმარისი ხელფასი დოქტორანტების მხარდასაჭერად

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	X	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად: „პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სადოქტორო პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და მოწვეულ მასწავლებლებს აქვთ აუცილებელი კომპეტენცია, მიიღონ სწავლის შედეგები კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სფეროში. მათ აქვთ პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სასწავლო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის რეკომენდებულ მეთოდოლოგიას (უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ბრძანება. No05- 03, 07.03.2018) და პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ადეკვატურია. გარდა სწავლებისა, საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი ჩართულია სტუდენტთა კონსულტაციისა და პროგრამის შემუშავების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი გამოირჩევა არა მხოლოდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიღწევებით, არამედ აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობით, რასაც მოწმობს პერსონალის გამოკითხვის შედეგები და მათი ავტობიოგრაფიული მონაცემები.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს თანამედროვე ცოდნა, მეცნიერების უახლესი მიღწევების შემოქმედებითად და კრიტიკულად გაანალიზების უნარი და ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება. საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელად იწვევს სპეციალისტებს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრებიდან. უფრო მეტიც, მიზანშეწონილია მეორე ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) იყოს თსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სადოქტორო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს კულტურის პერსონალოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. კერძოდ, ეს ხდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის გზით. ფაკულტეტის შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები ემსახურებიან დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალისთვის სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნას: ბიბლიოთეკა, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მათი საქმიანობის სფერო, მიზნები და ძირითადი ფუნქციები რეგულირდება ფაკულტეტის დებულებით“.

პერსონალის წევრებთან და სტუდენტებთან ონლაინ შეხვედრა ზემოაღნიშნულ ეჭვს

აბათილებს. ასევე შეიძლება აღინიშნოს კეთილგანწყობილი და მეგობრული ატმოსფერო როგორც გუნდში, ასევე პერსონალსა და სტუდენტებს შორის. ასევე აღსანიშნავია სტატისტიკის მოწვეული ლექტორის მაღალი კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა თანამშრომლებს შორის კვლევისა და გამოქვეყნების სხვადასხვა ტიპის გამოცდილება. პერსონალის ცალკეული წევრები აქვეყნებენ სხვადასხვა სფეროში, მეტ-ნაკლების სიხშირით სხვადასხვა სახის პუბლიკაციაში. ზოგი ფოკუსირებულია პროექტებზე, რომლებიც უშუალოდ ემსახურება ქართულ საზოგადოებას, ზოგი კი უფრო საერთაშორისო დონეზე ახდენს ფოკუსირებას. საერთო ჯამში, მთლიან პერსონალში პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ძალიან მაღალ აკადემიურ დონეზე. განათლებისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნების შესაბამისად, ზოგი დაკავებულია ფსიქოლოგიით (ან ანთროპოლოგია) და ადგილობრივ დონეზე განათლებით, მუშაობს ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვან პროექტებზე და აქვეყნებს როგორც აკადემიურ, ისე უფრო პოპულარულ ფორუმებს. სხვა თანამშრომლებს აქვთ უფრო ინტერნაციონალური გამოცდილება და ფოკუსირებულნი არიან აკადემიურ საკითხებზე, ზოგჯერ აქვეყნებენ ნაშრომებს უფრო მაღალ აკადემიურ დონეზე. საფუძვლიანია იმის მოლოდინი, რომ პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს გავლილი ჰქონდეს კვლევითი ტრენინგი თსუ-ში და ეს მართლაც ასეა.

ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს ფაკულტეტს, გააგრძელოს საერთაშორისო, ისევე როგორც ეროვნულ საკითხებზე ფოკუსირებული კადრების დანიშვნა, და შეინარჩუნოს პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც სწავლება არ გაუვლიათ თსუ-ში. საქმიანობის ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია ფაკულტეტის საერთო წვლილისთვის. ფაკულტეტმა უნდა მართოს თავისი პერსონალის დანიშვნის პროცესი, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერების დანიშვნის რეგულარული შესაძლებლობები.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ მთლიანობაში აკადემიურ პერსონალს აქვს შესაძლებლობა, ხელმძღვანელობა გაუწიოს დოქტორანტების რაოდენობას იმ დონეზე, რომელიც საჭიროა დიპლომის მიღებისთვის. ამ შესაძლებლობების შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია პერსონალის მუდმივი ტრენინგი და შევსება, ასევე აკადემიურ პერსონალს შორის კვლევის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და დაწესებულებაში შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამის პერსონალის რაოდენობა**	**დარგობრივი ცოდნის მქონე პერსონალის ჩათვლით[6]**	**მათ შორის, დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**12**		**12**	

[6] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

- პროფესორი	5			
- ასოცირებული პროფესორი	4			
- ასისტენტ–პროფესორი	1			
- ასისტენტი	-			
მოწვეული პერსონალი	2			–
სამეცნიერო პერსონალი	0			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (დანართი 5)
- პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები (დანართი 6)
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია, საგნის (საგნების) მიხედვით (დანართი 2)
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დანართი 6)
- ონლაინ შეხვედრა თანამშრომლებთან

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და

ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. რეკომენდაციები

o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს ფაკულტეტს, გააგრძელოს საერთაშორისო, ისევე როგორც ეროვნულ საკითხებზე ფოკუსირებული კადრების დანიშვნა, და შეინარჩუნოს პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც სწავლება არ გაუვლიათ თსუ-ში. საქმიანობის ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია ფაკულტეტის საერთო წვლილისთვის. ფაკულტეტმა უნდა მართოს თავისი პერსონალის დანიშვნის პროცესი, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერების დანიშვნის რეგულარული შესაძლებლობები.
- დოქტორანტების ხელმძღვანელობის ამჟამინდელი შესაძლებლობების შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია პერსონალის მუდმივი ტრენინგისა და ცოდნის გამდიდრების, ასევე აკადემიურ პერსონალს შორის კვლევის გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა. ეს მოიცავს ტრენინგს საგრანტო განაცხადების წარმოების მიმართულებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.1 ადამიანური რესურსები	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

სადოქტორო პროგრამის "კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები" დოქტორანტების ხელმძღვანელები იქნებიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომლებიც არიან დარგის აღიარებული სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, მონაწილეობა მიუღიათ სამეცნიერო კონფერენციებში, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით (იხ. დანართი 5).

დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია და კვლევის გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. დოქტორანტების ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი და კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. დოქტორანტების ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში, ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში. 2016-დან 2021 წლამდე ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა (დოქტორანტების ხელმძღვანელებმა) უმაღლესი განათლების პროგრამების 38-მდე თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინა. მათ ასევე წარადგინეს 80 პრეზენტაცია საზღვარგარეთ გამართულ მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, როგორიცაა ფსიქოლოგთა მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო კონგრესი, ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლის საერთაშორისო ასოციაცია, პიროვნული და სოციალური ფსიქოლოგიის ასოციაცია, ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის ევროპული ასოციაციის კონფერენცია, ევროპის ფსიქოლოგიური შეფასების ასოციაცია და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პროგრამაში ჩართული რამდენიმე ახალგაზრდა აკადემიური თანამშრომელი, რომლებიც წინა პროგრამის - "ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინარული)" კურსდამთავრებულები არიან, კვლავაც აქტიურობენ სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო დონეზე და აქვეყნებენ ნაშრომებს რეცენზირებად ჟურნალებსა და სხვა აკადემიურ ფორუმებზე. მთლიანობაში ცხადი იყო,

რომ არსებობს წარმატებული ხელმძღვანელობის მაგალითები.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**6**		
- პროფესორი	5		
- ასოცირებული პროფესორი	4		
- ასისტენტ–პროფესორი	1		
მოწვეული პერსონალი	2		–
სამეცნიერო პერსონალი	0		–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (დანართი 5)
- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (დანართი 5)
- პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები (დანართი 6)
- პროგრამის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ინდიკატორები (დანართი N 16)
- ონლაინ ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება (წინადადებები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ორმხრივი სარგებელისა და პოტენციური თანამშრომლობის მიზნით გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან ფსიქოლოგიას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	X	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და მიღებული შედეგების ანალიზს.
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

პერსონალის შეფასების პროცედურა განისაზღვრება თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის No81 დადგენილებით - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების პროცედურის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც სამუშაოს შეფასების მიზნებია: ა) პერსონალმა ზუსტად აღიქვას მოლოდინებს, რაც თსუ-ს მათ მიმართ აქვს; ბ) პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; გ) კადრების განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებით განვითარება; დ) შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა; ე) დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველწლიურ შეფასებას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებს აწვდის ინფორმაციას შეფასების შედეგებისა და მათი ანალიზის შესახებ.

ფაკულტეტის შინაგანაწესისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოთხოვნით, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარედგინება კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების დეპარტამენტის თითოეული წევრის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში, რომელშიც აღწერილია სამეცნიერო პუბლიკაციები და მონაწილეობა კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და სხვა სამეცნიერო აქტივობებში.

ფაკულტეტი აკადემიური პერსონალისთვის ატარებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობას (სემინარებს, ტრენინგებს, კონფერენციებს), რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. კონფერენციაში მონაწილეობა ღიაა და მოწვეული მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ მასში.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში, ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში. 2016-დან 2021 წლამდე კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის ფაკულტეტისა და განათლების მეცნიერებთა ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა წარადგინა 80 პრეზენტაცია საზღვარგარეთ გამართულ მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენციებზე, როგორიცაა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო კონგრესი, ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლის საერთაშორისო ასოციაცია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები, ჯანდაცვის კულტურული პერსონოლოგიის ევროპული ასოციაციის კონფერენცია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები, ევროპის ფსიქოლოგიური შეფასების ასოციაცია და ა.შ.

კულტურის პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის მეცნიერებათა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პროფესიულ განვითარებაზე სწავლებასა და კვლევაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით, რაც, სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, გულისხმობს ელექტრონული სწავლების გაძლიერებას Moodle პლატფორმის გამოყენებით. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ლექტორებსა და სტუდენტებს შორის საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებას და ინფორმაციის ეფექტურ გავრცელებას. 2018 წლის ნოემბერ/დეკემბერში თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა დაგეგმა და ჩაატარა ინდივიდუალური და ჯგუფური ტრენინგები ფაკულტეტის თანამშრომლებისთვის პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის და Moodle-ის საგანმანათლებლო კურსებში გამოყენების შესახებ. პანდემიის პირობებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დისტანციური სწავლების გამოწვევებთან დაკავშირებით არაერთი ონლაინ ტრენინგი გამართა უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. გარდა ამისა, 2018 წლიდან სისტემატურად იმართება ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების და პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის შესაქმნელად.

ფაკულტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო ფორუმებში, რაც აისახება ბიუჯეტის კონკრეტულ კატეგორიაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას. თსუ-ში მოქმედებს შემდეგი გაცვლითი პროგრამები: Erasmus +, Erasmus Mundus, Mevlana, Marie Curie, DAAD. ასევე, მოქმედებს ინგლისურენოვანი, გერმანული, იტალიური და ფრანგულენოვანი პროგრამები.

ფაკულტეტი იძლევა ხელფასის დანამატს ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისთვის მაღალი სამეცნიერო გავლენით/ქულის მიხედვით, რომელიც ინდექსირებულია WEB of Science, Scopus მონაცემთა ბაზაში.

2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს წვდომა Clarivate Analytics პროდუქტზე - „Web of Science (WoS)“. "Web of Science" პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, რისთვისაც ნებისმიერი ინტერნეტ ბრაუზერიდან შეგიძლიათ გადახვიდეთ მისამართზე: www.webofscience.com. „Web of Science“ პლატფორმის გარდა, ჩართულია ჟურნალის ციტირების ანგარიშზე წვდომა, საიდანაც მაღალი გავლენის მქონე ჟურნალების სიის ნახვაა შესაძლებელი. 2018 წელს ჩატარდა ტრენინგები ბაზის გამოყენებასთან დაკავშირებით. ტრენინგებზე მოწვეული იყვნენ დაინტერესებული აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს წვდომა ბიბლიომეტრიული ინდექსის მონაცემთა ბაზებზე: Google Scholar, Web of Science, Scopus (SER).

აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და დაწესებულებაში შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (დანართი 5)
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია, საგნის (საგნების) მიხედვით (დანართი 2)
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია (დანართი 6), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი https://www.tsu.ge/ka/quality- assurance, პერსონალის მუშაობის და კმაყოფილების თაობაზე თსუ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვისა და შეფასების შედეგები (დანართი 14);
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებები (დანართი 16);
- ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის წლიური ანგარიშები: https://www.tsu.ge/ka/faculty/188/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/page/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83 %98
- ონლაინ შეხვედრები თანამშრომლებთან

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და

ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

რეკომენდაციები

o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი ინფორმაციული რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ემსახურება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამის შიდა (41 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში) შეფასების ერთ-ერთი მაჩვენებელია, პროგრამის დამტკიცებისა და ფუნქციონირების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები გამოიყენება კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევებისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სადოქტორო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მესამე აკადემიურ კორპუსში. პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ როგორც უნივერსიტეტის საერთო ბიბლიოთეკით, ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, რომელიც შეიცავს პროფესიულ ლიტერატურას, ასევე სავალდებულო ლიტერატურას და პროგრამის სილაბუსებში მითითებულ შესაბამის წამკითხველს. უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში (Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR).

მე-3 სასწავლო კორპუსში არის სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები; ოთახები

სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრებისთვის; კომპიუტერული რესურს ცენტრი, 2 კომპიუტერული ლაბორატორია, 2 სასწავლო ოთახი (ტრენინგისთვის საჭირო ინვენტარით და რესურსებით). ფაკულტეტის სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის შეიქმნა ექსპერიმენტული კულტურული პერსონალოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების კომპიუტერული პროგრამა.

უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების, აგრეთვე მატერიალური ფასეულობების დაცვა დანაშაულებრივი ან სხვა სახის ხელყოფისაგან ხორციელდება ერთიანი სისტემის ფარგლებში, დაცვის ფიზიკური და ტექნიკური საშუალებებით: 1. ფიზიკური დაცვა გულისხმობს მოქალაქეებისა და დაცვის თანამშრომლების საქმიანობას შესაბამისი მომზადების მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში აღწერილი მიზნების მიღწევას; 2. ტექნიკური დაცვა გულისხმობს დაცვის თანამედროვე ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის ვიდეოთვალთვალის და სიგნალიზაციის სისტემებს, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებს, ხანძარსაწინააღმდეგო და შენობებიდან საგანგებო სიტუაციებში ევაკუაციის სისტემის არსებობას (ევაკუაციის გეგმები განთავსებულია უნივერსიტეტის შენობებში, თვალსაჩინო ადგილას) და სხვა (თვითშეფასების ანგარიში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არსებული ინფრასტრუქტურა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https//www.tsu.ge/ka/library
- უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებგვერდი: http://www.sciencelib.ge/
- კულტურის პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, მიგრაციისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი: https://tsu.ge/ka/faculty/665/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/page/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90
- ონლაინ შეხვედრა თანამშრომლებთან

აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და დაწესებულებაში შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

რეკომენდაციები

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4 მატერიალური რესურსები	X	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ფაკულტეტის რესურსების განაწილება დამოკიდებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტზე, მათი ორგანიზება შესაძლებელია და ფინანსურად მდგრადია. ბიუჯეტის პუნქტები სათანადოა და შეესაბამება შესაბამის სფეროებს, ადეკვატურად არის გათვალისწინებული დამატებითი რესურსების მოპოვება. ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნების ხელშესაწყობად დაფინანსების გამოყოფას, მათ შორის პერსონალის ანაზღაურებას, საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნებას და განვითარებას, სამეცნიერო აქტივობებისთვის თანხების გამოყოფას და პერსონალისა და სტუდენტების წახალისებას, ასევე კვლევით გრანტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი თავდაპირველად 5 სტუდენტზე იყო გათვლილი, ფაკულტეტმა კარგად იცის პროგრამის მხარდაჭერისთვის საჭირო ფინანსური პასუხისმგებლობების თაობაზე. ამ მიზნით ნაწილდება სახსრები ფაკულტეტის იმ პროგრამებიდან, რომლებსაც მოგება მოაქვს. ასევე შესაძლებელია გარკვეული თანხის გამოყოფა უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან შედარებით მცირე პროგრამების დასაფინანსებლად, ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიუჯეტი
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 ხარისხის შიდა შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/თანამშრომლებთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით. ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფას როგორც ფაკულტეტის, ასევე ცენტრალური ოფისების მეშვეობით. სამსახური დაყოფილია ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის დეპარტამენტად და აკრედიტაციის, კვლევისა და შეფასების დეპარტამენტად. დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი გეგმავს და კოორდინაციას უწევს განათლების ხარისხის მიმდინარე შეფასებას. ხარისხის კულტურის გაღრმავებით, სამსახური მხარს უჭერს უნივერსიტეტის ინტეგრაციას საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების მონიტორინგს. ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისგან, შიდა და გარე დაინტერესებული მხარისგან გამოხმაურებისა და რეკომენდაციების მიღებისა და გაცემის გზით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის ავტონომიის, ინკლუზიის, აკადემიური მთლიანობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის, მუდმივი კომუნიკაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების პრინციპების შესაბამისად. ამიტომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) პრინციპების შესაბამისად.

შიდა შეფასებისა პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები. პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შიდა შეფასების პროცესებში, განსაზღვრავენ შეფასების შესაბამის მეთოდებსა და პრაქტიკებს, ასევე აყალიბებენ მტკიცებულებებს, რომლებიც გამოიყენება მთელი პროგრამის შეფასების შემდგომი განვითარებისთვის. პერიოდულად ეწყობა ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკური შეფასების პროცესებს, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება პროგრამას და მასთან დაკავშირებულ კვალიფიკაციას. უსდ ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარე მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული შეფასების მექანიზმების ადაპტაციას. მაგალითად, დისტანციური სწავლება მოითხოვს კმაყოფილების თაობაზე განახლებულ გამოკითხვებს და შესაბამის შეფასების ფორმებს. ასეთი სპეციალური ფორმები ასევე შემუშავებულია ხელმძღვანელობის პროცესის შესაფასებლად.

ზოგადად, პროგრამები ფასდება წინასწარ განსაზღვრული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების მიხედვით, როგორიცაა სტუდენტების რაოდენობა, პროგრესი და საჭიროებები, დასაქმების მაჩვენებელი, დამთავრების მაჩვენებელი, პროგრამის პერსონალი, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ანალიზი. პროგრამის წინსვლის მიზნით, ფაკულტეტის და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მირე შემუშავებული რეკომენდაციები და შეფასების შედეგები წარედგინება პროგრამის შემმუშავებელ კომიტეტებს, შესაბამის ფაკულტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოებს.

უნივერსიტეტმა დანერგა საგანმანათლებლო კომიტეტის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ყოვლისმომცველი და ეფექტური პრაქტიკა. კომიტეტი მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს და მათ ჩართულობას უსდ-ის მაღალი ხარისხის განათლების განვითარებაში. კომიტეტში შედიან არა მხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალი,

არამედ ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს შესაძლებლობებზე და შემდგომი გაუმჯობესების შანსებზე, რომლებიც განსაზღვრულია კომიტეტებისა და თვითშეფასების სამუშაო ჯგუფების მიერ და ასევე შემოთავაზებულია შესაბამის რეკომენდაციებში. შიდა მონიტორინგის პროცესი ასევე აქტიური პრაქტიკაა უნივერსიტეტში - ესაა შიდა კოლეგიური პროცესი აკრედიტაციის ექსპერტთა სესიების სიმულაციის და მთლიანად პროცესის ჩატარების მიზნით. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, სიმულაციური შეფასების სამიზნე პროგრამები მოიცავს როგორც ხშირ ცვლილებას დაქვემდებარებულ პროგრამებს, ასევე ისეთ პროგრამებს, რომლებიც იშვიათად იცვლება.

ზემოაღნიშნულის, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების და შესაბამისი დოკუმენტების ანალიზის მიხედვით, ცხადია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრავს პროგრამის შეფასებას, როგორც თანამშრომლობით პროცესს, რომელიც უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ასევე მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, ექსპერტების და შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის თანამშრომლებთან ერთად იმუშავა თვითშეფასების ანგარიშების მომზადებისას გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრაზე და დაგეგმა გაუმჯობესების აქტივობები; გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის მომზადების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ და ძალისხმევამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროგრამის განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა - კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები
- თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და შემუშავების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტი

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის No81 დადგენილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ.
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წ. 26 თებერვლის დადგენილება No78 სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წ. 30 აპრილის დადგენილება No113 სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) გაწევრიანების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმა და ინდიკატორები, შეფასების ფორმა და სილაბუსების ინდიკატორები
- კითხვარის ფორმები სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პერსონალის გამოკითხვისთვის
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 ხარისხის შიდა შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით, რასაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

(NCEQE). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებებს კი წარუდგენს ფაკულტეტს. შესაბამისად, ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს განვითარებული მოვლენების შესაბამისობას ექსპერტების დასკვნებთან და მიღებულ რეკომენდაციებთან.

საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ფასდება გარე ექსპერტების, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მიერ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგა მიდგომა „ქვემოდან ზევით“, მოიწვია საერთაშორისო ექსპერტები და შეისწავლა აკრედიტაციის პროცესები ევროპის ქვეყნებში, უფრო სრულყოფილი პროცესის განვითარების მიზნით. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს კოლეგიალურ შეფასებას, რომელშიც სხვადასხვა დეპარტამენტის პერსონალია ჩართული. ბევრი პროგრამა ასევე განიხილება აკრედიტაციის სიმულაციური პროცესით.

პროგრამის პერსონალმა მიიღო მხარდაჭერის წერილი აკვინასის კოლეჯის ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორისა და საგანმანათლებლო მრჩევლისგან. შეფასების პროცესი მნიშვნელოვანი იყო შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და აკრედიტაციისთვის მომზადებისთვის.

2022 წელს უნივერსიტეტი შეფასდა ინსტიტუციური შეფასების პროგრამის მიერ (IEP), რომელიც არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სრულუფლებიანი წევრი და ასევე შეტანილია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრში (EQAR). თვითშეფასების და ონლაინ ვიზიტების შემდეგ, თსუ-ს მიეცა შესაძლებლობა გამოიყენოს სათაური „შეფასებული ინსტიტუციური შეფასების პროგრამის მიერ“. მომდევნო ერთ-სამ წელიწადში ჩატარდება შემდგომი შეფასება. დაწესებულება ასევე მუშაობს ამ პროცესიდან მიღებულ რეკომენდაციებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საგანმანათლებლო პროგრამა - კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები

- თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და შემუშავების წესი
- ინსტიტუციური შეფასების პროგრამის ანგარიში და მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის წერილი
- მხარდაჭერის წერილი აკვინასის კოლეჯის ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორისა და საგანმანათლებლო მრჩევლისგან
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
5.2. გარე ექსპერტების შეფასებები	**X**	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე სუბიექტებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს გაუმჯობესებისა და განვითარების მთავარ საშუალებას. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, ასევე თანამონაწილეობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. უნივერსიტეტში ასევე ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული აუდიტორული დაკვირვება და კოლეგიალური შეფასება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის. მაგისტრანტები და დოქტორანტები აფასებენ როგორც სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობას. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის დასასრულს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და სკოლების მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები განიხილება სკოლის საბჭოების მიერ. შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, საგანმანათლებლო პროცესის

გაუმჯობესების მიზნით.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება კურიკულუმების შემუშავებისთვის ყველა ეტაპზე, რასაც მოწმობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგები, ასევე დარგის სპეციალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვები. ამ ანალიზის მიზანია პროგრამის შემდგომი განვითარება და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბენჩმარქინგს საუკეთესო პრაქტიკისთვის, რათა განავითაროს საერთაშორისო დონეზე კონკურენტული პროგრამა. სამიზნე უნივერსიტეტები, როგორც წესი, შეირჩევა წარმატების მაჩვენებლებისა და დარგის სტანდარტების შესაბამისად. ფაკულტეტი კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისა და მიგრაციის კვლევების პროგრამამდე მუშაობდა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. ამიტომ პროგრამაში ჩართულმა თანამშრომლებმა გააანალიზეს ანალოგური პროგრამები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ციურიხის უნივერსიტეტში, მადრიდის უნივერსიტეტში და სტენფორდის უნივერსიტეტში, ასევე პროგრამები თავისუფალ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში საქართველოში. პროგრამის უნიკალურობა, რომელიც გამოიხატება ანალიზით არის სავარაუდო მიზნები, კულტურის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ საქართველოში საერთაშორისო გამოცდილების შემოტანას. პროგრამები იძლევა კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მკვლევარების აღზრდის შესაძლებლობას. პროგრამა ძალიან ვიწროა, განცალკევებულია ანთროპოლოგიისგან, რაც პროგრამებს ინდივიდუალიზმსაც უფრო შთამბეჭდავს ხდის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა - კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები
- თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და შემუშავების წესი
- შეფასების ფორმები და გამოკითხვის შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის

განვითარებისთვის შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის

არსებობის შემთხვევაში): უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამის

სახელწოდება:

უმაღლესი საგანმათლებლო პროგრამის დასახელება, დონე:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასების სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

დოქ. ჯონათან ლუზი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები



გიორგი ნიჟარაძე

ქეთევან ბერიძე

ქ-ნი თამთა ცხოვრებაძე



მარიამ ალექსიძე

ვახტანგ კეკოშვილი



ნინო სანადირაძე